186
1971/2

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი—აგვისტო

1971 წ.

117/9

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი-აგვისტო 1971 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

53. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საკითხები

54. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 აპრილის № 236 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 15 ივლისის № 869 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

55. რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და მოქალაქეებისაგან სოფლის მეურნეობის ზედმეტი პროდუქტების შესყიდვის მოწესრიგების შესახებ

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

56. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების დამტკიცების შესახებ

57. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 მაისის № 316 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

58. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 აპრილის № 236 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა № 4

59. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ
60. „მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ პირობებში მყოფი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 29 ივლისის № 425 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე
61. საქართველოს სსრ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების შესახებ
62. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ობიექტებზე დამონტაჟებული მოწყობილობის ამუშავება-გამართვის და ამ მოწყობილობის ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა წარმოების გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციებისათვის დაკისრების შესახებ
63. მოსწავლეებისა და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებისათვის ახალი ფორმის ტანსაცმლის ნიმუშების დამტკიცების შესახებ
64. მცირე სახელოსნოების მუშაკთა შრომის სახელფშკრულებო საწყისებზე ანაზღაურების წესისა და მათი მუშაობის პირობების დებულების დამტკიცების შესახებ
65. „საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისათვის ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა უფასო საკონტროლო ეგზემპლარების დაგზავნის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 აგვისტოს № 677 დადგენილების დამატების თაობაზე
66. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 ივლისის № 453 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
67. საქართველოს სსრ ტყეების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ
68. ქალაქ თბილისის თბომომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ
69. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ
70. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ
73. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ
72. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 თებერვლის № 90 დადგენილების დამატების შესახებ
73. საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელი სამოქალაქო შენობებისა და ნაგებობების მშენებლობისადმი შემკვეთის (მენაშენის) ტექნიკური ზედამხედველობის დებულების დამტკიცების შესახებ
74. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ
75. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 53 საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საკითხები

ამონაკრები

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 25 თებერვლის № 94 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ გაუქმდეს 1971 წლის 1 ივლისიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის მოქმედი სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციები და შეიქმნას სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის რაიონული სახელმწიფო ინსპექციები, დანართის თანახმად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 20 ივლისი, № 391

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 20 ივლისის № 391
დადგენილების დანართი

## ნ უ ს ხ ა

### საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ახლადშექმნილი რაიონული სახელმწიფო ინსპექციებისა

| | მთავარი სახელმწიფო ინსპექტორები | სახელმწიფო ინსპექტორები | მძღოლი-მემანქანეები | მანქანაზე მბეჭდავები | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **რაიონული ინსპექციები** | | | | | |
| შრომის ანაზღაურების პირველი ჯგუფისა | | | | | |
| ახალქალაქის | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| გორის | 1 | 2 | 1 | 1 | 5 |
| გურჯაანის | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| სიღნაღის | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| წითელწყაროს | 1 | 2 | 1 | 1 | 5 |
| თელავის | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| ახმეტის | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| ლაგოდეხის | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| გარდაბნის | 1 | 2 | 1 | 1 | 5 |
| მარნეულის | 1 | 2 | 1 | 1 | 5 |
| ბოლნისის | 1 | 1 | 1 | — | 3 |
| ხობის | 1 | 1 | 1 | — | 3 |
| წალენჯიხის | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| ჩხოროწყუს | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| მახარაძის | 1 | 2 | 1 | 1 | 5 |
| ლანჩხუთის | 1 | 1 | 1 | — | 3 |
| ზუგდიდის | 1 | 2 | 1 | 1 | 5 |
| გეგეჭკორის | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| წყალტუბოს | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| **რაიონული ინსპექციები** | | | | | |
| შრომის ანაზღაურების მეორე ჯგუფისა | | | | | |
| ბოგდანოვკის | 1 | 1 | — | — | 2 |
| ქარელის | 1 | 1 | — | — | 2 |
| კასპის | 1 | 1 | — | — | 2 |
| ყვარლის | 1 | 1 | — | — | 2 |
| საგარეჯოს | 1 | 1 | — | — | 2 |
| სამტრედიის | 1 | 1 | — | — | 2 |
| ტყიბულის | 1 | 1 | — | — | 2 |
| წალკის | 1 | 1 | — | — | 2 |
| წულუკიძის | 1 | 1 | — | — | 2 |
| ცხაკაიას | 1 | 1 | — | — | 2 |
| ჩოხატაურის | 1 | 1 | — | — | 2 |

| | მთავარი სახელმწიფო ინსპექტორები | სახელმწიფო ინსპექტორები | მდივანი-მემანქანეები | მსუბუქი ავტომობილის მძღოლები | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **რაიონული ინსპექციები** | | | | | |
| შრომის ანაზღაურების მესამე ჯგუფისა | | | | | |
| ამბროლაურის | 1 | 1 | — | — | 2 |
| აბაშის | 1 | 1 | — | — | 2 |
| ახალციხის | 1 | 1 | — | — | 2 |
| ადიგენის | 1 | 1 | — | — | 2 |
| ასპინძის | 1 | — | — | — | 1 |
| ბორჯომის | 1 | 1 | — | — | 2 |
| ვანის | 1 | 1 | — | — | 2 |
| დმანისის | 1 | 1 | — | — | 2 |
| დუშეთის | 1 | 1 | — | — | 2 |
| ზესტაფონის | 1 | 1 | — | — | 2 |
| ყაზბეგის | 1 | — | — | — | 1 |
| ლენტეხის | 1 | — | — | — | 1 |
| მაიაკოვსკის | 1 | 1 | — | — | 2 |
| მესტიის | 1 | — | — | — | 1 |
| მცხეთის | 1 | 1 | — | — | 2 |
| ონის | 1 | — | — | — | 1 |
| ორჯონიკიძის | 1 | 1 | — | — | 2 |
| საჩხერის | 1 | 1 | — | — | 2 |
| თერჯოლის | 1 | 1 | — | — | 2 |
| თეთრი წყაროს | 1 | 1 | — | — | 2 |
| თიანეთის | 1 | 1 | — | — | 2 |
| ხაშურის | 1 | 1 | — | — | 2 |
| ცაგერის | 1 | 1 | — | — | 2 |
| ჭიათურის | 1 | — | — | — | 1 |
| სულ რაიონული ინსპექციები | 54 | 54 | 19 | 16 | 143 |

## 54 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 აპრილის № 236 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 15 ივლისის № 869 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 აპრილის № 236 დადგენილებისა „მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების მეთესლეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 სექტემბრის № 729 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 15 ივლისის № 869 დადგენილება „საკუთარი მაღალხარისხოვანი ჯიშიანი თესლით კოლმეურნეობების უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ვ. მჟავანაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1971 წ. 27 ივლისი, № 401

## 55 რესპუბლიკის კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან სოფლის მეურნეობის ზედმეტი პროდუქტების შესყიდვის მოწესრიგების შესახებ

რესპუბლიკის კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან სოფლის მეურნეობის ზედმეტი პროდუქტების შესყიდვის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს, რომ ცეკავშირის სისტემა რესპუბლიკის კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან შეისყიდის სოფლის მეურნეობის ზედმეტ პროდუქტებს:

— კარტოფილს, ბოსტნეულს, სუბტროპიკულ ხურმას, ბახჩეულ კულტურებს, გარეულ ხილს, ხმელ ხილს (ჩირს), კენკრას, კაკალს — შესყიდვის ვადებისა და მოცულობის განუსაზღვრელად;

— თესლოვან და კურკოვან ნაყოფს — მას შემდეგ, რაც რესპუბლიკაში შესრულდება სახელმწიფო წლიური გეგმები.

2. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას გააფართოოს სოფლის მეურნეობის ზედმეტი პროდუქტების შესყიდვა და გაადიდოს ამ პროდუქტების მიყიდვა

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მიერ მოსახლეობისათვის საკოლმეურნეო ბაზრებში, აგრეთვე სპეციალიზებულ კოოპერაციულ ქსელში ბაზრების ტერიტორიის გარეთ, ამასთან, კერძოდ, ყურადღება მიაქციოს შესყიდვის გაფართოებას შორეულ რაიონებში, შესასყიდი ფასების, მიმოქცევის ხარჯების შემცირებას და უყაირათო დანაკარგების ლიკვიდაციას; მიაღწიოს იმას, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტები კოოპვაჭრობის მაღაზიებში იყიდებოდეს სახელმწიფო საცალო ფასებთან მიახლოებულ ფასებში.

ნება დაერთოს ცეკავშირს გახსნას საკოლმეურნეო ბაზრებში მაღაზიები, პავილიონები და სხვა სავაჭრო საწარმოები მოსახლეობისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მისაყიდად.

3. ნება დაერთოს კოოპერაციულ ორგანიზაციებს შეისყიდონ თავიანთი მოქმედების ზონაში სოფლის მეურნეობის ზედმეტი პროდუქტები კოლმეურნეებისაგან, მუშებისაგან, მოსამსახურეებისაგან, რომლებსაც ეს პროდუქტები შემოაქვთ მეზობელი რესპუბლიკებიდან, აგრეთვე სხვა რაიონებიდან რესპუბლიკის შიგნით.

4. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ გამოუყოს ცეკავშირის ორგანიზაციებს სოფლის მეურნეობის ზედმეტი პროდუქტების გადასაზიდად საჭირო ვაგონები ტვირთის წარდგენის შემდეგ, რკინიგზის წესდების შესაბამისად.

5. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს დახმარება გაუწიონ კოოპერაციულ ორგანიზაციებს იმ მხრივ, რომ გამოეყოთ შესაბამისი სადგომები კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზიებისა და საწყობებისათვის ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში და საკოლმეურნეო ბაზრების ტერიტორიაზე.

6. დაევალოს იუსტიციის სამინისტროს წარმოადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად იქნას ცნობილი წინათ მიღებული დადგენილებანი.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი. 1971 წ. 27 ივლისი, № 404

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 56 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდება.

2. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების გამგეობათა ყურადღება მიექცეს იმას, რომ გაუმჯობესებული მოპირკეთების წარმოება კოოპერაციულ სახლებში და უფრო სრულყოფილი მოწყობილობის დადგმა, რაც გათვალისწინებულია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 19 ნოემბრის № 943 დადგენილების შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს სსრ სახმშენის ნებართვით დამატებითი ხარჯთაღრიცხვებით, რომლებიც მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გადაეცეს სახლის მშენებლობის დაწყებამდე.

3. დაევალოთ იმ ადგილის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, სადაც კოოპერაციული სახლები შენდება, სისტემატური კონტროლი გაუწიონ კოოპერაციული სახლების მშენებლობას ტიპობრივი პროექტებისა და დადგენილი წესით დამტკიცებული დამატებითი ხარჯთაღრიცხვების მტკიცე შესაბამისობით.

4. აეკრძალოთ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს ყოველგვარი კონსტრუქციული გადაკეთების თვითნებურად წარმოება როგორც მშენებლობის პროცესში, ისე მისი დამთავრებისა და სახლის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგაც.

5. იმ მიზნით, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში შესვლის მსურველ მოქალაქეებს მიეწოდოს ინფორმაცია სახელმწიფო კრედიტების სარგებლობის წესისა და პირობების შესახებ, დაევალოს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს აცნობონ აღნიშნულ მოქალაქეებს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების დაკრედიტების მოქმედი წესები.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 სექტემბრის № 652 დადგენილებით, შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 1 ივლისი, № 346

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 1 ივლისის № 346
დადგენილებით

# საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდება

## კოოპერატივის შექმნის წესი

1. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი ეწყობა ქალაქში, ქალაქის ტიპის დაბაში, სოფლად მდებარე დაბაში, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სადაბო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოსთან (განყოფილებასთან), კომუნალური მეურნეობის განყოფილებასთან, კომუნალური საწარმოების კომბინატთან, საწარმოსთან (საბჭოთა მეურნეობასთან), დაწესებულებასთან ან ორგანიზაციასთან.

რამდენიმე საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშა-მოსამსახურეები, რომლებშიაც არ არის კოოპერატივის შექმნის მსურველთა საჭირო რიცხვი, აგრეთვე პენსიონერები, შეიძლება გააერთიანონ ერთ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ორგანოებმა, რომლებიც აღნიშნული არიან ამ პუნქტის პირველ ნაწილში.

2. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მოსაწყობად საჭიროა გაერთიანება: ქ. თბილისში სულ ცოტა 36 მოქალაქისა, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალსა და რუსთავში — სულ ცოტა 12 მოქალაქისა, ხოლო დანარჩენ ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში — არანაკლებ 8 მოქალაქისა.

3. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში გაერთიანების მსურველი მშრომელები ამ საკითხს დააყენებენ საწარმოს (საბჭოთა მეურნეობის), დაწესებულების ან ორგანიზაციის წინაშე სამუშაო ადგილის მიხედვით, რომლებიც, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, მოიწვევენ იმ მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებას, რომლებსაც კოოპერატივის წევრად შესვლა სურთ.

როდესაც კოოპერატივში შესვლის მსურველთა რიცხვი აკმაყოფილებს ამ წესდების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რაოდენობას, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, აღძრავს საკითხს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის შექმნის შესახებ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სადაბო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს (განყოფილების), კომუნალური მეურნეობის განყოფილების, კომუნალური საწარმოების კომბინატის წინაშე, რომლებიც ამ საკითხს განსახილველად წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს აღმასკომს კოოპერატივის მოწყობის ადგილის მიხედვით.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი მიიღებს გადაწყვეტილებას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მოწყობის შესახებ და დაამტკიცებს კოოპერატივში შესვლის მსურველ მოქალაქეთა და მათი ოჯახის იმ წევრთა სიას, რომლებიც კოოპერაციულ საცხოვრებელ ფართობში გადასახლდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ, რაც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი მიიღებს გადაწყვეტილებას კოოპერატივის მოწყობის შესახებ, მოიწვევა კოოპერატივში შესვლის მსურველ მოქალაქეთა საერთო კრება წესდების განსახილველად და დასამტკიცებლად.

კრების მიერ მიღებულ კოოპერატივის წესდებას რეგისტრაციაში გაატარებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მოწყობის შესახებ.

4. წესდების რეგისტრაციის შემდეგ მოწვეული იქნება კოოპერატივის წევრთა საერთო კრება კოოპერატივის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ასარჩევად და კოოპერატივისათვის სახელწოდების მისაკუთვნებლად.

5. კოოპერატივს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შესაბამის აღმასკომში მისი წესდების რეგისტრაციის დროიდან ენიჭება იურიდიული პირის უფლებები.

კოოპერატივი სარგებლობს ბეჭდით, რომელზედაც გამოსახულია თავისი სახელწოდება.

6. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებს დაამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, რომელმაც პირვანდელი შემადგენლობა დაამტკიცა.

## კოოპერატივის მიზანი, უფლება-მოვალეობანი

7. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი სათანადო სახელწოდებით მოეწყობა იმ მიზნით, რომ დააკმაყოფილოს კოოპერატივის წევრები საცხოვრებელი ფართობით, რისთვისაც ააშენებს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს (სახლებს) კოოპერატივის საკუთარი სახსრებით სახელმწიფო კრედიტის დახმარებით; აგრეთვე ამ სახლის (სახლების) შემდგომი ექსპლუატაციისა და გამგებლობის მიზნით.

საცხოვრებელი სახლის (სახლების) მშენებლობა შეიძლება განახორციელოს კოოპერატივმა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი შეიტანს ბანკში საკუთარ სახსრებს სახლის ღირებულების სულ მცირე 40 პროცენტის ოდენობით, მიიღებს სახელმწიფო კრედიტს და მშენებლობის შესაბამის ნებართვას.

8. კოოპერატივის წევრებად შეიძლება იყვნენ მოქალაქეები, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ, მუდმივად ცხოვრობენ მოცემულ ადგილზე და საჭიროებენ საბინაო პირობების გაუმჯობესებას და რომლებსაც უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ განუსხვისებიათ მოცემულ ქალაქში პირადი საკუთრების უფლებით კუთვნილი, მუდმივ საცხოვრებლად ვარგისი ბინები ან სახლები (ან მათი ნაწილი).

მოქალაქე შეიძლება მიღებულ იქნეს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაკავებული საცხოვრებელი ფართობიდან კოოპერაციულ სახლში გადასახლდება კოოპერატივის წევრის არა მთელი ოჯახი. დარჩენილ პირებს შეუნარჩუნდებათ ამ ფართობის (ბინის ან ოთახის) სარგებლობის უფლება საბინაო ნორმით დაწესებული ოდენობით, დამატებითი ფართობის იმ უფლების გათვალისწინებით, რაც მათ მინიჭებული აქვთ.

ის პირები, რომლებიც პირადი საკუთრების უფლებით ფლობენ იმავე დასახლებულ პუნქტში საცხოვრებელ სახლს ან მის ნაწილს, შეიძლება მიღებულ იქნან კოოპერატივში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი უვარგისია მუდმივ საცხოვრებლად ან არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მუდმივ საცხოვრებლად რაიმე სხვა მიზეზებით, იმ პირობით, თუ შესრულებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 106 მუხლის მოთხოვნა.

9. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში შესვლისათვის უპირატესი უფლება ენიჭებათ:

— მოქალაქეებს, რომლებიც იმყოფებიან აღრიცხვაზე რაიონული საბჭოების აღმასკომებში საცხოვრებელი ფართობის მისაცემად;

— დიდი სამამულო ომის ინვალიდებს, რომლებიც საჭიროებენ საბინაო პირობების გაუმჯობესებას (I და II ჯგუფის ინვალიდებს სართულის ამორჩევის უფლებით);

— მოქალაქეებს, რომლებსაც კოოპერატივში პირველი რიგის წესით შესვლის უფლება მინიჭებული აქვთ სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებებით.

10. სახელმწიფო დაწესებულებები, საწარმოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები არ შეიძლება იყვნენ კოოპერატივის წევრებად, აგრეთვე არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კოოპერატივის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში თავიანთი სახსრებით.

ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და სხვა დაწესებულებებისათვის სადგომების მშენებლობა კოოპერატივის სახლებში შეიძლება განხორციელდეს კოოპერატივის თანხმობით. ამ სადგომების მშენებლობასთან დაკავშირებული მთელი სამუშაოები დაფინანსდება იმ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, რომლებიც გამოეყოფათ შესაბამის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ამასთან სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულება მიეკუთვნება იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსს, რომლებიც სადგომების ექსპლოატაციას ახორციელებენ.

11. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ კოოპერატივის წესდების რეგისტრაციის შემდეგ კოოპერატივი სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში გახსნის მიმდინარე ანგარიშს და გადარიცხავს ამ ანგარიშზე კოოპერატივის მთელ სახსრებს, რომლებიც მის წევრებს შეაქვთ სახლის მშენებლობისათვის. ამ ანგარიშიდან წარმოებს საანგარიშსწორებო-ფულადი ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის საექსპლუატაციო საქმიანობასთან.

12. სამშენებლო ბანკის დაწესებულებებში კრედიტის მისაღებად საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი მოვალეა წარუდგინოს ბანკს შემდეგი საბუთები:

ა) პირი მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებისა მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ;

ბ) პირი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წესდებისა, რომელიც მიღებული და რეგისტრირებულია დადგენილი წესით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) იმ სათანადო ორგანოს ნებართვა კოოპერატივისათვის ლიმიტის გამოყოფის შესახებ, რომლის განკარგულებაში გამოყოფილია კოოპერაციული საბინაო მშენებლობის დაკრედიტების ლიმიტი;

დ) ცნობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ და პირი კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული კრებსითი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებისა (ხარჯთაღრიცხვისა);

ე) შიდასამშენებლო სატიტულო სია;

ვ) მოიჯარე ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულება;

ზ) კოოპერატივის განცხადება-ვალდებულება;

თ) ცნობა იმის შესახებ, რომ კოოპერატივის ყველა წევრს ჩამოერთვა ვალდებულება დროზე დაფარონ მიღებული სესხის კუთვნილი გადასახდელები;

ი) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა სია, დამტკიცებული მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ;

13. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს სამშენებლო ბანკის შესაბამის დაწესებულებაში გაეხსნება პირადი და სასესხო ანგარიში, რომლისგან კრედიტების გაცემა წარმოებს კოოპერატივის იმ საკუთარი სახსრების გამოყენების შემდეგ, რომლებიც შეტანილია სახლის მშენებლობისათვის.

14. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი ვალდებულია დააზღვევოს სესხით აშენებული სახლი და იკისროს ბანკის წინაშე სრული პასუხისმგებლობა სახლის დაცვა-შენახვისათვის სესხის მთლიანად დაფარვამდე.

15. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (სახლების) ექსპლოატაციას ახორციელებს ხარჯდაფარვადობის საწყისებზე.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა სახლის დაცვა-შენახვისათვის და ასრულებს ყველა წესსა და დებულებას, რომლებიც გამოიცემა სახელმწიფო საბინაო ფონდის ექსპლოატაციის დარგში.

საბინაო ფონდის და კოოპერაციული სახლების სახლმფლობელობათა ტერიტორიის მომსახურებას ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საბინაო ორგანოების სახლმმართველობები საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მიერ შესაბამის სახლმმართველობასთან დადებული ხელშეკრულებებით, ამასთან კოოპერატივი აღნიშნულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს აანაზღაურებს იმ განაკვეთების მიხედვით, რაც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მიერ დაწესებულია სახელმწიფო საბინაო ფონდის სახლების მომსახურებისათვის.

სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი იმ სახლმმართველობების (საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების) პერსონალის მომსახურებისათვის, რომლებმაც სამომსახურეოდ მიიღეს კოოპერაციული საბინაო ფონდი, კოოპერატივის სახლებში შეიძლება გამოყოფილ იქნეს მხოლოდ კოოპერატივის თანხმობით.

16. კოოპერატივს უფლება აქვს:

ა) მიიღოს დადგენილი წესით უვადო სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთები ქალაქის, დაბის ტერიტორიის ფარგლებში საცხოვრებელი განაშენიანების

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონებში, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში — კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის;

ბ) გამოიყენოს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის კრედიტი იმ წესითა და იმ პირობებში, რაც გათვალისწინებულია კოოპერაციული საბინაო მშენებლობის დაკრედიტების წესებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის მიერ;

გ) განახორციელოს საცხოვრებელი სახლის (სახლების) მშენებლობა მოქმედი ტიპობრივი პროექტებით, რომლებიც გამოიყენება მოცემულ ქალაქში (ქალაქის ტიპის დაბაში), საბჭოთა მეურნეობაში ან სოფლად მდებარე დაბაში, მოცემული რაიონის განაშენიანებისათვის დაწესებული სართულიანობის გათვალისწინებით, და იმ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გათვალისწინებულ ვადებში, რომლებიც შენდება სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე;

დ) დადოს მოიჯარე ორგანიზაციასთან ხელშეკრულება სახლის მშენებლობის შესახებ ან ამ მშენებლობის შემკვეთის ფუნქციები გადასცეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შესაბამის განყოფილებას (სამმართველოს) ან კომუნალური საწარმოების კომბინატს.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განყოფილების (სამმართველოს) ან კომუნალური საწარმოების კომბინატის მიერ კოოპერაციული სახლის (სახლების) მშენებლობის შემკვეთის ფუნქციების შესრულებისას ტექნიკური ზედამხედველობა ხორციელდება შესაბამისი სახსრებით, რომლებიც გათვალისწინებულია კოოპერაციული სახლის (სახლების) მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებით;

ე) მონაწილეობა მიიღოს მშენებლობადამთავრებულ კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ მიმღები სახელმწიფო კომისიის შემადგენლობაში;

ვ) აწარმოოს დადგენილი წესით გაუმჯობესებული მოპირკეთება და დადგას უფრო სრულყოფილი მოწყობილობა კოოპერაციულ სახლში;

ზ) უსასყიდლოდ გადასცეს კომუნალური მეურნეობისა და კავშირგაბმულობის შესაბამისი საწარმოების ბალანსზე წყალსადენის, კანალიზაციის, თბომომარაგების ქსელი, გაზის ქსელი, ბინისშიდა საგაზო მოწყობილობა და ტელეფონის ქვესადგურები ამ საწარმოების მიერ მომსახურებისათვის.

17. კოოპერატივის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლები და სამსახურებრივ-სამეურნეო ნაგებობანი ეკუთვნის მას კოოპერაციული საკუთრების უფლებით და არ შეიძლება მათი გაყიდვა ან გადაცემა როგორც მთლიანად, ისე ნაწილ-ნაწილად (ბინები, ოთახები) არც ორგანიზაციებისათვის, არც ცალკეული პირებისათვის, გარდა ისეთი გადაცემისა, რომელიც კოოპერატივის ლიკვიდაციის დროს ხორციელდება.

18. კოოპერატივი პასუხს აგებს თავისი ვალდებულებებისათვის ქონებით, რომელიც მას ეკუთვნის.

კოოპერატივის წევრები პასუხისმგებელი არიან კოოპერატივის მიერ საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებული ვალდებულებებისათვის, საპაიო შენატანის ჯერადობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კოოპერატივის საშუალებანი

19. კოოპერატივის საშუალებანი შესდგება:

ა) კოოპერატივის წევრთა შესასვლელი შენატანებისაგან;

ბ) საპაიო შენატანებისაგან;

გ) სახლის (სახლების) შენახვისა და ექსპლუატაციის შენატანებისაგან;

დ) სხვა შემოსავლისაგან.

შესასვლელი შენატანების ოდენობას დააწესებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება საპაიო შენატანის პროპორციულად.

კოოპერატივის მთელი საკუთარი სახსრები შეიტანება ბანკის დაწესებულებებში კოოპერატივის სათანადო ანგარიშებზე.

20. საერთო კრების დადგენილებით კოოპერატივს შეუძლია შექმნას სპეციალური ფონდები (საორგანიზაციო ხარჯებისათვის, საამორტიზაციო ანარიცხები სახლის კაპიტალური რემონტისათვის და სხვ.), რომლებიც იხარჯება კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესაბამისი მიზნებისათვის. ამ ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესს განსაზღვრავს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება.

## კოოპერატივის წევრთა უფლება-მოვალეობანი

21. კოოპერატივის წევრს მისი პაის ოდენობისა და ოჯახის წევრთა რაოდენობის შესაბამისად მიეცემა მუდმივი სარგებლობისათვის ცალკეული ბინა ისეთი ოდენობის საცხოვრებელი და სასარგებლო ფართობით, რაც გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების დადგენილი წესით დამტკიცებული ტიპობრივი პროექტებით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მარტოხელა წევრებს მიეცემათ, როგორც წესი, ცალკეული ერთოთახიანი ბინა.

კოოპერატივში შესვლისას კოოპერატივის წევრი ვალდებულია მიუთითოს მისი ოჯახის წევრებიდან ვინ იქნება მასთან ერთად შესახლებული კოოპერატივის სახლში და დაურთოს განცხადებას ოჯახის სრულწლოვან წევრთა წერილობითი თანხმობა კოოპერატივის სახლში გადასახლების შესახებ.

მოქალაქე, რომელმაც კოოპერატივში შესვლისას აღნიშნა, რომ კოოპერაციულ სახლში გადავა მისი ოჯახი სრული შემადგენლობით, ვალდებულია ჩააბაროს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობი მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს ან საწარმოს და ორგანიზაციას კუთვნილებისამებრ მას შემდეგ, რაც მას მიეცემა ბინა კოოპერაციულ სახლში.

22. კოოპერატივის სახლებში საცხოვრებელი ფართობი მიეცემათ მხოლოდ კოოპერატივის წევრებს, ვინც შეასრულა დაწესებული შესასვლელი და საპაიო შენატანების გადახდის ვალდებულებანი, — ორდერებით, რომლებსაც გასცემს იმ ადგილის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, სადაც კოოპერაციული საცხოვრებელი სახლი მდებარეობს, კოოპერატივის წევრთა და მათი ოჯახის წევრთა დამტკიცებული სიის შესაბამისად (ამ წესდების მე-3 პუნქტის მე-3 აბზაცი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. კოოპერატივის თითოეული წევრის პაის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს იმ ცალკეული ბინის სამშენებლო ღირებულებას, რომელიც მას კოოპერაციულ სახლში მიეცემა. კოოპერაციულ სახლში ბინების სამშენებლო ღირებულებას განსაზღვრავს საპროექტო ორგანიზაცია, რომელიც მოცემული სახლის (სახლების) დაპროექტებას ახორციელებს სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

კოოპერატივის თითოეული წევრი ვალდებულია შეიტანოს კოოპერატივის მიმდინარე ანგარიშზე სახლის მშენებლობის დაწყებამდე ფულადი სახსრები ბინების მშენებლობის ღირებულების არანაკლებ 40 პროცენტისა.

პაის დანარჩენ ნაწილს კოოპერატივის წევრი შეიტანს იმ ვადებში, რომლებიც გათვალისწინებულია კოოპერატივის ვალდებულებით სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მიერ გაცემული სახელმწიფო კრედიტის დასაფარავად.

24. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიღებულ კრედიტებს გადაახდევინებს კოოპერატივი სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე.

25. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, როგორც წესი, არ შეიძლება იყოს იმავდროულად სხვა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად.

მაგრამ, თუ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს სჭირდება საბინაო პირობების გაუმჯობესება (აქვს ნორმაზე ნაკლები საცხოვრებელი ფართობი), იგი შეიძლება მიღებულ იქნეს, როგორც გამონაკლისი, სხვა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში.

იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივის წევრი შევიდა ახლადმოწყობილ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში, მან იმავდროულად უნდა შეასრულოს ვალდებულებანი და ისარგებლოს ამ წესებით გათვალისწინებული უფლებებით ორ კოოპერატივში ახალი კოოპერაციული საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პერიოდში.

სხვა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში ბინის ორდერის მიღების შემდეგ აღნიშნული პირი უნდა გაირიცხოს კოოპერატივის წევრობისაგან წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე. ოჯახის წევრს, რომელიც საცხოვრებლად დარჩა კოოპერაციულ საცხოვრებელ ფართობზე წინანდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აქვს მოცემულ კოოპერატივში შესვლის უპირატესი უფლება.

26. კოოპერატივის წევრს უფლება აქვს:

ა) იცხოვროს თავის ოჯახიანად მისთვის მიცემულ კოოპერაციულ საცხოვრებელ სადგომში;

ბ) ნებაყოფლობით, თავისი განცხადებით გავიდეს კოოპერატივიდან მისი არსებობის ყოველ დროს, როგორც სახლის მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის დროს, ისე მისი დამთავრების შემდეგაც და სახლის ექსპლოატაციის პერიოდშიც;

გ) კოოპერატივის წევრთა საერთო კრების თანხმობით გადასცეს თავისი პაი მასთან ერთად მუდმივად მცხოვრებ მისი ოჯახის სრულწლოვან ნებისმიერ წევრს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) საერთო კრების ნებართვით გადაცვალოს. მათ შორის სხვა ქალაქში მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი სხვა საცხოვრებელ ფართობზე სახელმწიფო და კოოპერაციული საცხოვრებელი ფონდის სახლებში იმ პირობით, რომ კოოპერატივის წევრად იქნეს მიღებული ის პირი, რომელმაც საცხოვრებელი ფართობი გადაუცვალა, შეიტანოს ამ პირმა პაი საცხოვრებელი სადგომის საბალანსო ღირებულების ოდენობით.

კოოპერაციული საცხოვრებელი ფართობის გადაცვლა ისეთ სახლზე, რომელიც მოქალაქეს პირადი სარგებლობის უფლებით ეკუთვნის, არ დაიშვება.

საცხოვრებელი ფართობის გადაცვლისას, ის პირები, რომლებსაც კოოპერატივის წევრებად ღებულობენ, უნდა აკმაყოფილებდნენ ამ წესდების 8 პუნქტში აღნიშნულ მოთხოვნებს. ამის გარდა, საჭიროა იმ ადგილის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ნებართვა, სადაც კოოპერატივი იმყოფება.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში კოოპერაციული საბინაო ფართობის სხვა კოოპერაციულ ფართობზე გადაცვლისას კოოპერატივის წევრები ურთიერთს გადასცემენ პაის დაგროვების თანაბარ თანხებს.

პაის დაგროვების განსხვავება ახლადმიღებულმა უნდა შეიტანოს შესაბამის კოოპერატივში, ხოლო გასულმა — უნდა მიიღოს ამ კოოპერატივისაგან.

კოოპერატივის სახლში გადაცვლის გაფორმება ხდება იმ წესით, რაც დადგენილია საცხოვრებელი სადგომების გადაცვლისათვის სახელმწიფო ფონდის სახლებში;

ე) გააქირაოს დროებითი წასვლის შემთხვევაში კოოპერატივის გამგეობის ნებართვით მთელი ბინა ისეთ ფასად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მის მიერ სახლის საექსპლოატაციო ხარჯების დასაფარავად შეტანილ საზღაურს, რაც გასაქირავებელ სადგომზე მოდის;

ვ) პირველ რიგში მიიღოს იმავე კოოპერატივის სახლში განთავისუფლებული ბინა, თუ კოოპერატივის წევრი საჭიროებს საბინაო პირობების გაუმჯობესებას.

27. კოოპერატივის წევრი შეიძლება გაირიცხოს კოოპერატივიდან შემდეგ შემთხვევებში, როდესაც იგი:

ა) არ ემორჩილება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წესდებას;

ბ) არ ასრულებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიერ დაწესებულ ვალდებულებებს;

გ) კოოპერატივის სახლში საცხოვრებელ ფართობს იყენებს არაშრომითი შემოსავლის მისაღებად;

დ) სისტემატურად ანგრევს და აფუჭებს საცხოვრებელ სადგომს;

ე) სისტემატურად არღვევს სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, რაც შეუძლებელს ხდის სხვებისათვის მასთან ერთ ბინაში ან სახლში ერთობლივ ცხოვრებას, როდესაც გაფრთხილებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები უშედეგო აღმოჩნდა;

ვ) კანონით გათვალისწინებული წესით დადგინდა, რომ კოოპერატივის წევრმა პაის სახით შეიტანა არაშრომით ნაშოვნი ფული;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) თვითნებურად ჩასახლდა კოოპერაციულ საცხოვრებელ სახლში, რომელიც ჯერ კიდევ საექსპლოატაციოდ არ მიუღია მიმღებ კომისიას, და უორდეროდ ჩასახლდა კომისიის მიერ მიღებულ სახლში.

28. კოოპერატივიდან გარიცხული კოოპერატივის წევრი გამოსახლებული უნდა იქნეს სასამართლო წესით კოოპერატივის სახლიდან მასთან მცხოვრებ ყველა პირთან ერთად სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

საერთო კრების გადაწყვეტილება კოოპერატივის წევრის გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრებული იქნეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება კოოპერატივის მოწყობის შესახებ.

29. იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივის წევრი გაირიცხა იმის გამო, რომ მასთან ცხოვრება შეუძლებელია, საცხოვრებელი სადგომი რჩება, ოჯახის მასთან ერთად მცხოვრებ წევრთა სარგებლობაში იმ პირობით, რომ ერთი მათგანი შევა კოოპერატივში.

30. კოოპერატივიდან გასულ კოოპერატივის წევრს დაუბრუნდება პაის ღირებულება, ხოლო განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობი მიეცემა საერთო კრების გადაწყვეტილებით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ნებართვით კოოპერატივის წევრად ახლად მიღებულ სხვა პირს.

იმ პირებს, რომლებიც ასაღებ სახლებში ცხოვრობენ დამქირავებელთა პირობებში და მიღებული არიან კოოპერატივის წევრებად საპაიო შენატანების გადაუხდელად, კოოპერატივიდან გასვლის (გარიცხვის) დროს საპაიო შენატანი არ მიეცემა.

31. კოოპერატივის ახლად მიღებული წევრის პაის ოდენობა არ შეიძლება იყოს იმ საცხოვრებელი სადგომის საბალანსო ღირებულების ნაკლები, რომელიც გადაცემულია მის სარგებლობაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს ჯერ კიდევ არ დაუფარავს საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიცემული სახელმწიფო კრედიტი, ახლად მიღებული წევრის საპაიო შენატანი არ უნდა იყოს კოოპერატივის გასული წევრის პაის დაგროვების ნაკლები.

კოოპერატივის გასული წევრისათვის პაის ღირებულების დაბრუნება წარმოებს მას შემდეგ, რაც პაის შეიტანს კოოპერატივის ახლად მიღებული წევრი.

32. კოოპერატივის გარდაცვლილი წევრის პაი გადადის მის მემკვიდრეებზე კანონით დადგენილი წესით.

კოოპერატივის წევრთა საერთო კრება მიიღებს კოოპერატივის წევრად რამდენიმე მემკვიდრეს იმ პირობით, თუ ბინაში თითოეული მათგანისათვის არის იზოლირებული საცხოვრებელი სადგომი და დაცულია ამ წესდების 8 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მემკვიდრეებს, რომლებიც ბინით არ სარგებლობდნენ სამკვიდროს დამტოვებლის სიცოცხლეში, აგრეთვე უარი განაცხადეს ბინის შემდგომ სარგებლობაზე, კოოპერატივი გადაუხდის მემკვიდრეობით მიღებული პაის ღირებულებას ან მის წილს.

33. კოოპერატივის გარდაცვლილი წევრის ოჯახის წევრები, რომლებიც არ არიან მემკვიდრეები, ცხოვრობდნენ მასთან ერთად და აქვთ საერთო მეურნეობა, ინარჩუნებენ დაკავებული საცხოვრებელი ფართობით შემდგომი სარგებლობის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მემკვიდრე შევიდა კოოპერატივის წევრად. თუ მემკვიდრეები უარს იტყვიან კოოპერატივში შესვლაზე ან თუ მემკვიდრეები არ აღმოჩნდა, გარდაცვლილის ოჯახის აღნიშნულ წევრებს უფლება აქვთ შევიდნენ კოოპერატივის წევრებად, შეიტანონ პაი დაკავებული ბინის (ოთახის) საბალანსო ღირებულების ოდენობით და დაიცვან ამ წესდების 8 პუნქტში აღნიშნული მოთხოვნები.

34. კოოპერატივის გასული წევრის ნაცვლად კოოპერატივის წევრად მიღებული პირი პასუხისმგებელია კოოპერატივის წინაშე მის ვალდებულებათა გამო.

35. კოოპერატივის წევრები მოვალენი არიან გასწიონ სახლის (სახლების) მართვისა და ექსპლოატაციის ხარჯები იმ ოდენობით, რასაც კოოპერატივის წევრთა საერთო კრება განსაზღვრავს.

## კოოპერატივის მართვის ორგანოები

36. კოოპერატივის მართვის ორგანოები არიან კოოპერატივის წევრთა საერთო კრება და კოოპერატივის გამგეობა.

37. საერთო კრება არის კოოპერატივის უმაღლესი ორგანო და გადაწყვეტს შემდეგ საკითხებს:

ა) კოოპერატივის წევრად მიღება და კოოპერატივის წევრობიდან გარიცხვა;

ბ) სახლის (სახლების) და კოოპერატივის სამსახურებრივ-სამეურნეო ნაგებობების მშენებლობის გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის, აგრეთვე წლიური სამეურნეო-საფინანსო გეგმის და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

გ) სახელმწიფო კრედიტის მიღება საცხოვრებელი სახლის (სახლების) ასაშენებლად;

დ) საცხოვრებელი სადგომების განაწილება კოოპერატივის წევრებს შორის, აგრეთვე ნებართვის მიცემა კოოპერატივის წევრისათვის გადასცეს თავისი პაი ოჯახის წევრებს, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ;

ე) შესასვლელი და საპაიო შენატანის ოდენობის დაწესება ამ წესდების 25 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად;

ვ) სახლის (სახლების), შენახვისა და ექსპლუატაციისათვის კოოპერატივის წევრთა შენატანების ოდენობის დაწესება;

ზ) იმ სესხის განაწილება კოოპერატივის წევრებს შორის, რომელსაც კოოპერატივი ბანკის დაწესებულებებში იღებს;

თ) კოოპერატივის სპეციალური ფონდების შექმნა;

ი) კოოპერატივის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა;

კ) კოოპერატივის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოქმედებაზე შემოსული საჩივრების განხილვა;

ლ) კოოპერატივის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

მ) სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა კოოპერატივის სახლში მომსახურე პერსონალისათვის;

ნ) წყალსადენის, კანალიზაციის, თბომომარაგების ქსელის, გაზის ქსელის, ბინისშიგა საგაზო მოწყობილობის, სატელეფონო სადგურების უსასყიდლოდ გადაცემა კომუნალური მეურნეობისა და კავშირგაბმულობის შესაბამისი საწარმოების ბალანსზე.

38. კოოპერატივის გამგეობა საერთო კრებებს მოიწვევს წელიწადში ორჯერ მაინც. რიგგარეშე საერთო კრებები მოიწვევა 6 დღის ვადაში კოოპერატივის წევრთა რიცხვის ერთი მესამედის მოთხოვნით, აგრეთვე სარევიზიო კომისიის ან იმ ადგილის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მოთხოვნით, სადაც კოოპერატივი იმყოფება.

39. საერთო კრება შემდგარად ითვლება, თუ მას ესწრება კოოპერატივის წევრთა ან კოოპერატივის ნდობით აღჭურვილ პირთა საერთო რიცხვის ორი მესამედი მაინც.

საერთო კრება გადაწყვეტილებებს მიიღებს კოოპერატივის დამსწრე წევრთა ან ნდობით აღჭურვილ პირთა ხმების უბრალო უმეტესობით.

საერთო კრებები, რომლებიც მოწვეულია ისეთი საკითხების გადასაწყვეტად როგორიცაა: შესასვლელი და საპაიო შენატანის და სპეციალური ფონდების ოდენობა, საცხოვრებელი სახლის (სახლების) ექსპლოატაციის წესი, შენატანების ოდენობა სახლის (სახლების) შენახვისა და ექსპლოატაციისათვის, კოოპერატივის წევრობიდან გარიცხვა, კოოპერატივის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, უფლებამოსილად ითვლება, თუ მათ ესწრება კოოპერატივის წევრთა საერთო რიცხვის ოთხი მეხუთედი. ამ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება ხმების სამი მეოთხედის უმრავლესობით.

40. კოოპერატივის გამგეობას სულ ცოტა სამი წევრის რაოდენობით აირჩევს საერთო კრება ორი წლის ვადით.

გამგეობა თავისი შემადგენლობიდან აირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს (მოადგილეებს) და ხაზინადარს.

41. გამგეობა არის კოოპერატივის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ანგარიშს აბარებს საერთო კრებას. გამგეობის მოვალეობაში შედის:

ა) საერთო კრების მიერ დაწესებული შესასვლელი და საპაიო შენატანების მიღება კოოპერატივის წევრებისაგან;

ბ) გეგმების, ხარჯთაღრიცხვებისა და ანგარიშების შედგენა;

გ) სახლის მეურნეობის მართვა;

დ) ხელშეკრულებების დადება, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის დაწესებულებისათვის სახელმწიფო კრედიტის დაფარვის ვალდებულებათა მიცემა და სხვა დარიგებების შესრულება კოოპერატივის სახელით;

ე) კოოპერატივის წარმომადგენლობა ყველა სასამართლო და ადმინისტრაციულ დაწესებულებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში;

ვ) კოოპერატივის წევრთა სიის შედგენა, კოოპერატივის ანგარიშწარმოება და საქმისწარმოება;

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზ) ამ წესდებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულებათა შესრულება.

42. კოოპერატივის გამგეობას უფლება აქვს განაგოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ნაღდი სახსრები, რომლებიც მის მიმდინარე ანგარიშზე ინახება ბანკში, კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული საფინანსო გეგმისა და მშენებლობის გეგმის შესაბამისად.

43. სარევიზიო კომისიას სულ ცოტა სამი წევრის შემადგენლობით აირჩევს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება ორი წლის ვადით და იგი წარმოადგენს ორგანოს, რომელიც კონტროლსა და რევიზიას უწევს გამგეობის საქმიანობას.

სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან აირჩევს კომისიის თავმჯდომარეს.

სარევიზიო კომისიის მოვალეობაში შედის:

ა) კოოპერატივის გამგეობის მთელი საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის გეგმიანი რევიზია 6 თვეში ერთხელ მაინც. რევიზიის შედეგების მოხსენება კოოპერატივის საერთო კრებისათვის;

ბ) საბუღალტრო ჩანაწერების, ხარჯთაღრიცხვების, საგასავლო ფულადი დოკუმენტების, საანგარიშო და დოკუმენტური მონაცემების და სხვ. რევიზია და შემოწმება;

გ) რევიზიისა და შემოწმების დროს გამოვლინებული მოქმედი კანონმდებლობის, კოოპერატივის წესდების დარღვევის, კოოპერატივის გამგეობის ან კოოპერატივის ცალკეულ წევრთა უმართებულო მოქმედების შეტყობინება კოოპერატივის საერთო კრებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს იმ აღმასკომისათვის, რომელიც ზედამხედველობასა და კონტროლს უწევს კოოპერატივის საქმიანობას.

სარევიზიო კომისიის მოქმედებაზე საჩივარი შეიტანება კოოპერატივის საერთო კრების სახელზე სარევიზიო კომისიის მეშვეობით, რომელიც მოვალეა მოახსენოს საჩივარი და მისცეს განმარტება მორიგ საერთო კრებას.

გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებს, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით ზიანი მიაყენეს კოოპერატივს, ეკისრებათ სრული მატერიალური პასუხისმგებლობა კოოპერატივის წინაშე.

44. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში ერთსა და იმავე დროს არ შეიძლება იყვნენ ცოლქმარი, მშობლები, შვილები, შვილიშვილები, ღვიძლი ძმები, დები და მათი მეუღლეები.

45. კოოპერატივი თავის საქმიანობას ეწევა იმ ადგილის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მეთვალყურეობითა და კონტროლით, სადაც კოოპერატივი იმყოფება, ამასთან აღმასკომს უფლება აქვს გააუქმოს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება, თუ იგი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და ამ წესდებას.

საფინანსო წლის დამთავრების შემდეგ ორი თვის განმავლობაში კოოპერატივი მოვალეა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს წარუდგინოს ანგარიში გასული წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შესახებ.

46. სამოქალაქო უფლებრივი დავა კოოპერატივისა და მის წევრებს შორის უნდა გადაიჭრას სასამართლო წესით, ხოლო კოოპერატივსა და სახელ-

მწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის წამოჭრილ დავას განიხილავს სახელმწიფო არბიტრაჟი.

47. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს შეუძლია შეიტანოს საერთო კრების გადასაწყვეტად საკითხი, რომ კოოპერატივიდან გაირიცხონ, აგრეთვე, კოოპერატივის გამგეობასა და სარევიზიო კომისიაში მუშაობისაგან გადაყენებულ იქნან ის პირები, რომლებმაც დაარღვიეს მოქმედი კანონმდებლობა და ეს წესდება.

## კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტა და მისი საქმეების ლიკვიდაცია

48. კოოპერატივის საქმიანობა წყდება, მისი საქმეებისა და ქონების ლიკვიდაცია ხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც:

ა) კოოპერატივი სასამართლოს მიერ ცნობილია ვალაუვალად;

ბ) კოოპერატივმა იმ ადგილის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, სადაც კოოპერატივი იმყოფება, გადაუხვია წესდებაში აღნიშნულ მიზანს;

გ) კოოპერატივის წევრთა საერთო კრებამ საჭიროდ დაინახა მისი ლიკვიდაცია ან რეოგრანიზაცია (შეერთება, გაყოფა ან მიერთება).

კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება კოოპერატივის ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის შესახებ უნდა დაამტკიცოს იმ ადგილის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომმა, სადაც კოოპერატივი იმყოფება.

კოოპერატივის რეორგანიზაციის შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 37 და 39 მუხლების მოთხოვნა.

49. კოოპერატივის საქმეთა ლიკვიდაცია ხდება კოოპერაციულ ორგანიზაციათა საქმიანობის შეწყვეტის მოქმედი წესის შესაბამისად, ამასთან სავალდებულოა იმ ადგილის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის წარმომადგენლის მონაწილეობა, სადაც კოოპერატივი იმყოფება.

50. კოოპერატივის ქონება, რაც დარჩენილია კოოპერატივისადმი წაყენებული ყოველგვარი პრეტენზიების დაკმაყოფილების, მის მიერ ბანკის სახელმწიფო კრედიტის დაფარვის შესახებ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისა და კოოპერატივის წევრებისათვის საპაიო შენატანის მიცემის შემდეგ, აგრეთვე კოოპერატივის მთელი საქმეები და საბუთები გადაეცემა იმ ადგილის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს, სადაც კოოპერატივი იმყოფება.

## 57 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 მაისის № 316 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„სსრ კავშირის კავშირგაბმულობის წესდების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 მაისის № 316 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 16 აგვისტოს № 1014 დადგენილება „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის საწარმოებში საფოსტო ფასეულობათა დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 13 თებერვლის № 190 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში კავშირგაბმულობის მომსახურებისა და რადიომსმენის სააბონემენტო საფასურის დავალიანების შემცირების ღონისძიებათა შესახებ“.

3. „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 იანვრის № 71 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 13 თებერვლის № 190 დადგენილების მე-3 პუნქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 მარტის № 210 დადგენილების მე-2 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ლ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წლის 1 ივლისი, № 347.

## 58 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 აპრილის № 236 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 აპრილის № 236 დადგენილებისა „მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების მეთესლეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 სექტემბრის № 729 დადგენილებასთან დაკავშირებით

სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 1 ივლისი. № 348

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 1 ივლისის № 348
დადგენილების დანართი

## ნ უ ს ხ ა

**საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 აპრილის № 236 დადგენილებასთან დაკავშირებით**

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 13 იანვრის № 44 დადგენილება „სავაზაფხულო მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სათესლე ფონდებად გამოყოფილი თესლის სახელმწიფო ფონდის რესურსების ჯიშიან თესლზე გადაცვლის შესახებ".

2. „მარცვლეული კულტურების მეთესლეობის გაუმჯობესების შესახებ" საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 14 მარტის № 308 დადგენილების მე-16 პუნქტის მეორე აბზაცი და მე-18 პუნქტის პირველი აბზაცი.

3. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1946 წლის 23 თებერვლის № 182 დადგენილება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სათესლე ნაკვეთების ჯიშგანახლებისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სათესლე ფონდებად გამოყოფილი სავაზაფხულო მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების თესლის სახჯიშფონდის რესურსების ჯიშიან თესლზე გადაცვლის შესახებ".

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 21 დეკემბრის № 1510 დადგენილება „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის სავაზაფხულო მარცვლეული კულტურების ჯიშიანი თესლის მიცემის შესახებ".

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 17 იანვრის № 74 დადგენილება „1950 წლის გაზაფხულზე დასათესად საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების თესლის გადაცვლის შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 21 მარტის № 312 დადგენილება „მარცვლეული კულტურების ჯიშიანი მეთესლეობის ორგანიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 30 აგვისტოს № 1131 დადგენილება „სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საქართველოს მეცხოველეობის ტრესტის საბჭოთა მეურნეობების მარცვლეული კულტურების საკუთარი მაღალხარისხოვანი ჯიშიანი თესლით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 18 სექტემბრის № 1295 დადგენილება „1952 წლის მოსავლისათვის დასათესად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკუთარი თესლით უზუნველყოფის შესახებ“.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 8 თებერვლის № 159 დადგენილება „1952 წლის გაზაფხულზე დასათესად კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობებისათვის საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების ჯიშიანი თესლის გადაცვლის წესით მიცემის შესახებ“.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 27 ივნისის № 893 დადგენილება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკუთარი მაღალხარისხოვანი თესლით უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 22 ივნისის № 1570 დადგენილების დაგზავნის თაობაზე“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 29 აგვისტოს № 1141 დადგენილება „1953 წლის მოსავლის მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის დამზადების გეგმის შესახებ“.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 19 თებერვლის № 158 დადგენილება „1954 წლის გაზაფხულზე დასათესად საგაზაფხულო მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების თესლის გადაცვლის შესახებ“.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 18 იანვრის № 32 დადგენილება „1955 წლის გაზაფხულზე დასათესად საგაზაფხულო მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების თესლის გადაცვლის შესახებ“.

14. „მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების და ბალახთა მეთესლეობის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 19 ივნისის № 292 დადგენილების მე-5 პუნქტი.

15. „საქართველოს სს რესპუბლიკაში სავალდებულო მიწოდებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სამუშაოთა ნატურსაზღაურის გაუქმების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის № 446 დადგენილების № 9 დანართის 1 პუნქტის (პირველი აბზაცისა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ა“ ქვეპუნქტი და მეოთხე აბზაცი, აგრეთვე ამავე დანართის 1 პუნქტის მეექვსე აბზაცი და მეათე აბზაცის ქვეპუნქტი „ბ“ მარცვლეული კულტურების ნაწილში, რომელთა თესლისათვის ფულადი საჯიშე დანამატები გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 სექტემბრის № 729 დადგენილებით (დანართი № 2).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

## 59 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების იმ მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ნორმების შესახებ, რომლებიც სოფელ ადგილებში ცხოვრობენ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილების მეორე პუნქტს დაემატოს სიტყვები „სოფელ ადგილებში მცხოვრებ და მომუშავე კავშირგაბმულობის საწარმოების მუშაკებისათვის“ სიტყვების „სასოფლო საბჭოების მუშაკებისათვის“ შემდეგ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სოფელ ადგილებში საფოსტო კავშირის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 ოქტომბრის № 960 დადგენილების მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 9 ივლისი, № 361

## 60 „მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ პირობებში მყოფი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 29 ივლისის № 425 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ პირობებში მყოფი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის შემდგომი განმტკიცების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დამტკიცდეს:

ა) რაიონების იმ მეურნეობების სია, რომელთა მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული ჩაის ხარისხოვანი ფოთლის, თესლოვანი და კურკოვანი ხილის, ყურძნის და დაფნის ფოთლის ჩასაბარებელ ფასებზე გავრცელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 29 ივლისის № 425 დადგენილებით დაწესებული ფასდაკლება 1971 წლის 1 იანვრიდან, №№ 1, 2, 3, 4 დანართების თანახმად;

ბ) იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სია, რომლებსაც 1971 წლის 1 იანვრიდან მიეცემათ დოტაცია, საზოგადოებრივ მეურნეობაში წარმოებული და სახელმწიფოსათვის მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების შესაბამისად, პროცენტობით, №№ 5 და 6 დანართების მიხედვით.

2. დაევალოს სოფლის მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ა) ერთი თვის ვადაში შეამოწმონ და განიხილონ — „მთის ზონისა და სხვა არახელსაყრელ პირობებში მყოფი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 29 ივლისის № 425 დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და მიიღონ ზომები არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;

ბ) შეიმუშაონ და განახორციელონ თითოეული მეურნეობის მიხედვით მათი ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისა და ფინანსური მეურნეობის გაჯანსაღების პრაქტიკული ღონისძიებანი;

გ) გააძლიერონ ეკონომიური მუშაობა ჩამორჩენილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მოაწესრიგონ აღრიცხვა, დაიცვან მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმი საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვაში;

დ) შეისწავლონ და განიხილონ საკითხი წვრილ და მცირეძალოვან კოლმეურნეობათა გამსხვილებისა და მათი ეკონომიურად ძლიერ კოლმეურნეობებთან შეერთების შესახებ.

3. დაევალოს კვების მრეწველობის, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანს“, ცეკავშირს უზრუნველყონ თავიანთი სისტემების დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ რენტაბელურ პროდუქტებზე ფასდაკლების სწორად წარმოება, თანხების შეუფერხებელი გადარიცხვა სახელმწიფო ბანკის სპეციალურ ანგარიშზე და სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოებში ცნობების (ფორმა № 1) დადგენილ ვადებში წარდგენა.

4. დაევალოს სოფლის მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს უზრუნველყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი დოტაციის თანხების დროული დარიცხვა და სახბანკის დაწესებულებებში წარდგენა.

5. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას უზრუნველყოს დარიცხული დოტაციების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობათათვის შეუფერხებელი გაცემა და რაიონული განყოფილებებიდან 1 ივლისისა და 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით ნაკრები ცნობების მიღება ფასდაკლების თანხებისა და გაცემული დოტაციების ოდენობის შესახებ ცალ-ცალკე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 13 ივლისი, № 362

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 13 ივლისის № 362
დადგენილების დანართი № 1

# ს ი ა

**იმ რაიონების კოლმეურნეობებისა (მოსახლეობის ჩათვლით), რომლებზედაც 1971 წლის პირველი იანვრიდან ვრცელდება ხარისხოვანი ჩაის ფოთლის სახელმწიფო შესასყიდი ფასებიდან ფასდაკლება ტონაზე 20 მანეთის ოდენობით:**

**მახარაძის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ნატანებისა და ურეკის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობებისა, აგრეთვე ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა;

**ქობულეთის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ალამბრის, მუხაესტატეს, ციხისძირის, კვირიკეს, ჩაქვის მეციტრუსეობის და ქობულეთის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

**გეგეჭკორის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ბანძის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა, აგრეთვე ს. ს. ნახუნცილაოს, ჯოლევის, საელიაოს და ს. კიწიას „შრომის" კოლმეურნეობებისა.

**წყალტუბოს** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ფარცხანაყანევის კალინინის და ჟდანოვის სახელობის, საყულიას, პატრიკეთის, მუხიანის ლენინის, ქვედა მესხეთის და დერჩის კოლმეურნეობებისა და ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალისა;

**წულუკიძის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ძეძილეთის, კინჩხის, კონტუათის, გორდის, პატარა ჯიხაიშის კოლმეურნეობებისა და წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა;

**ცხაკაიას** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა თეკლათის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობისა, აგრეთვე კოტიანეთის მევენახეობის, ახალსენაკის დაფნის, შხეფის მეციტრუსეობის და ძველი სენაკის სანაშენო მეღორეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

**ხობის** რაიონის ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობა;

**ზუგდიდის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა დიდინეძის, განმუხურის, ორულუს, ორსანტიის, კოკის, დარჩელის და ურთის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე ანაკლიის მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობისა და ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალისა;

**წალენჯიხის** და **ჩხოროწყუს** რაიონების ყველა კატეგორიის მეურნეობები;

**ლანჩხუთის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ქვიანის, ჭყონაგორის და ჩოლობარგის კოლმეურნეობების და ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობისა;

**ჩოხატაურის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ჩხაკოურის, ზოტის, დიდივანის, ზემოხეთის, ბურნათის, ზემოსურების და შუასურების კოლმეურნეობებისა, აგრეთვე ჩოხატაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

**ხელვაჩაურის რაიონის** ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ზედა ჩხუტუნეთის, ქვედა ჩხუტუნეთის და ჩიქუნეთის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე ახალშენის, გონიოს, მახვილაურის, მახინჯაურის მეციტრუსეობის, თხილნარის სუბტროპიკული კულტურებისა და ბათუმის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

**გალის რაიონის** ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა კოხორის, მზიურის, მეგობრობის მეციტრუსეობისა და სიდის ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა.

**ოჩამჩირის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ბარათაშვილის კოლმეურნეობის, აგრეთვე აგუბედიის ტუნგოს, ჯალის მეციტრუსეობის, ოჩამჩირის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებისა და ტამიშის ეთერზეთოვანი კულტურების ქარხანა-საბჭოთა მეურნეობისა;

**შენიშვნა:** ფასდაკლება არ ვრცელდება ტექნიკუმებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 13 ივლისის № 362
დადგენილების დანართი № 2

## ს ი ა

**იმ რაიონების მეურნეობებისა (მოსახლეობის ჩათვლით), რომლებზედაც 1971 წლის 1 იანვრიდან ვრცელდება სახელმწიფოსათვის მიყიდული ყურძნის შესასყიდი ფასდაკლება ტონაზე 20 მანეთის ოდენობით:**

**თელავის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა თელავისა და ყარაჯალის ეთერზეთების ქარხანა-საბჭოთა მეურნეობებისა;

**ყვარლის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ყვარლის ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობისა;

**წითელწყაროს** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები;

**გურჯაანის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა მელაანისა და ჩალაუბნის კოლმეურნეობებისა;

**სიღნაღის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა წნორის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობისა;

**საგარეჯოს** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა პატარძეულის, გომბორის, ნინოწმინდის, დიდი ჩალაურის, შიბლიანისა და კოჭბაანის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე საგარეჯოს და ივრის მებოსტნეობა-მერძევეობის და ხაშმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

**ახმეტის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობისა;

**ხაშურის** რაიონის ალის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა;

**კასპის** რაიონის ოკამის მევენახეობის და კოდისწყაროს მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა;

**გარდაბნის** რაიონის სამგორის, ლილოს და ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები;

**ბოლნისის** რაიონის ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა;

**მარნეულის** რაიონის ალგეთის, ხრამის, ყულარის და შაუმიანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები;

**წყალტუბოს** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ფარცხანაყანევის, კალინინის და ჟდანოვის, პატრიკეთის, მუხიანის, ქვედა მესხეთის, დერჩის და საყულიის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა;

**ვანის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა უხუთის, ყუმურის, გორას, ამაღლების, სალხინოს, ზეინდრის და რომანეთის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე სულორის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობისა;

**მაიაკოვსკის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ზეგანის კიროვისა და ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა;

**ზესტაფონის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ძირულის, კალინინის, წიფლავაკის, დილიკაურის, კვალითის, კლდეეთის, ზედა საქარის, ქვედა საზანოსა და ბოსლევის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე როდიონოულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა;

**თერჯოლის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ჭოგნარის, ნაგარევის, გოდოგანის, ახალი თერჯოლის, ალისუბნის, ქვედა სიმონეთის, ჩხარის, ბარდუბნის, ძევერისა და ნახშირღელის კოლმეურნეობებისა.

**საჩხერის** რაიონის საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა.

**სამტრედიის** რაიონის ვაზისუბნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა.

**შენიშვნა:** ყურძენზე ფასდაკლება არ ვრცელდება სანერგე მეურნეობებზე, ტექნიკუმებზე, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საცდელ სადგურებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **Ღ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 13 ივლისის № 362
დადგენილების დანართი № 3

## ს ი ა

**იმ რაიონების მეურნეობებისა (მოსახლეობის ჩათვლით), რომლებზედაც 1971 წლის 1 იანვრიდან ვრცელდება თესლოვანი და კურკოვანი ხილის სახელმწიფო შესასყიდი ფასებიდან ფასდაკლება ტონაზე 20 მანეთის ოდენობით:**

**ახალციხის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა მუსხის, ელიაწმინდისა და წყორძის კოლმეურნეობების, აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საბჭოთა მეურნეობებისა.

**ხაშურის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ფლავის, ტკოცის და ცოცხნარის კოლმეურნეობებისა და რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საბჭოთა მეურნეობებისა;

**ქარელის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა დირბის და ზღუდერის კოლმეურნეობების, აგრეთვე კეხიჯვრის, რუისის, დედოფლის მეჭარხლეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

**გორის** ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა მეღვრეკისის, ბნავისის, ატენის, დიცის და ტირძნისის კოლმეურნეობებისა;

**კასპის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ახალქალაქის, ყარალაჯის, ხოვლეს, გომის, ნოსტეს, დოესის და მეტეხის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საბჭოთა მეურნეობებისა;

**ლაგოდეხის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ლაგოდეხის ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობისა:

**მარნეულის** რაიონის მოსახლეობა;

**ცხინვალის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა დისევის და ქემერთის კოლმეურნეობების, ერედვისა და თამარაშენის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

**ზნაურის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა წნელისის, მუგუთის, ზნაურის, თილვისა და თერეგვანის კოლმეურნეობებისა და რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საბჭოთა მეურნეობებისა;

**ლენინგორის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ზაყორის, ლარგვისის, წოლდის, წუბენის, აბრევის, ცხილონის, კიტრიულის, წირის, წინაგარის, ორჭოსნისა და ლორეთკარის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე ლენინგორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობისა;

**სამტრედიის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ნაბაკევის, ნინუაკუთხის, მელაურის, ნაფალაურის, წიალუბნის, გამოჩინებულის, გომის და ზედაეწერის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საბჭოთა მეურნეობებისა;

**ჭიათურის** რაიონის მოსახლეობა;

**საჩხერის** რაიონის მოსახლეობა და ჭალის, იტავაზის, არგვეთის, გამოღმა არგვეთის, ოროულის, ჩიხის, საირხის, სხვიტორის და სავანის კოლმეურნეობები;

**ტყიბულის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები;

**ამბროლაურის** რაიონის მოსახლეობა და პირველი ტოლის, მეორე ტოლის, ჩორჯოს, ბოსტანას, შრომის, ხვანჭკარას, ხიდიკრის, ბუგეულის, სადმელის და წესის კოლმეურნეობები.

**მახარაძის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა საბჭოთა მეურნეობებისა;

**ლანჩხუთის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ჭყონაგორის, ქვიანის და ჩოლობარგის კოლმეურნეობებისა და რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საბჭოთა მეურნეობებისა;

**ოჩამჩირის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ბარათაშვილის კოლმეურნეობისა, ოჩამჩირის ეთერზეთოვანი კულტურების ქარხანა-მეურნეობისა და რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საბჭოთა მეურნეობებისა;

**გალის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა საბჭოთა მეურნეობებისა;

**გულრიფშის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები გარდა მერხეულის, ამტკელის მახარაძის და რუსთაველის სახელობის, ოქტომბრის, მაჭარის, ლათის, წითელი ოქტომბრის, ახალი აჟარის და გენცვიშის კოლმეურნეობებისა, აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საბჭოთა მეურნეობებისა;

სოხუმის რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა კელასურის ლინდავას, პავლოვკის, ოდიშის და ახალშენის კოლმეურნეობებისა, და რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საბჭოთა მეურნეობებისა;

**გუდაუთის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ყულანურხვის, აბგარხუკის, კალდახვარის, ანუხვის, აацის, ბლაბურხვის კოლმეურნეობებსა და რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საბჭოთა მეურნეობებისა;

**გაგრის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ლიძავისა და ხალოდნაია რეჩკას კოლმეურნეობებისა და რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საბჭოთა მეურნეობებისა;

**ქობულეთის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა საბჭოთა მეურნეობებისა;

**ხელვაჩაურის** რაიონის ყველა კატეგორიის მეურნეობები, გარდა ზედაჩხუტუნეთის, ქვედაჩხუტუნეთის და ჩიქუნეთის კოლმეურნეობებისა და რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საბჭოთა მეურნეობებისა.

**შენიშვნა:** ხილზე ფასდაკლება არ ვრცელდება სანერგე მეურნეობებზე, ტექნიკუმებზე, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საცდელ სადგურებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 13 ივლისის № 362
დადგენილების დანართი № 4

## ს ი ა

**იმ რაიონებისა, სადაც 1971 წლის 1 იანვრიდან ვრცელდება სახელმწიფოსათვის მოსახლეობის მიერ მიყიდული დაფნის შესახყიდ ფასებიდან ფასდაკლება ტონაზე 500 მანეთის ოდენობით:**

წყალტუბო
სამტრედია
წულუკიძე
ვანი
მაიაკოვსკი
ზესტაფონი
თერჯოლა
ჭიათურა
ორჯონიკიძე
ტყიბული
აბაშა
ცხაკაია
გეგეჭკორი
ზუგდიდი
ხობი
წალენჯიხა
ჩხოროწყუ
მახარაძე
ლანჩხუთი
ჩოხატაური
აფხაზეთის ასსრ
აჭარის ასსრ
ქ. ფოთი
ქ. ქუთაისი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 13 ივლისის № 362
დადგენილების დანართი № 5

## ს ი ა

**იმ კოლმეურნეობებისა, რომლებსაც 1971 წლის 1 იანვრიდან მიეცემათ დოტაცია საზოგადოებრივ მეურნეობაში წარმოებული და სახელმწიფოსათვის მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების შესაბამისად, პროცენტობით**

| რაიონებისა და კოლმეურნეობების დასახელება | დოტაცია პროცენტობით |
|---|---|
| **ახალქალაქის რაიონი** . . . . . . . . | 25 |
| აბულის კოლმეურნეობა | |
| არაკვის " | |
| კოთელიის " | |
| კორხის " | |
| ვარევანის " | |
| **ბოგდანოვკის რაიონი** . . . . . . . . | 25 |
| ყაურმის კოლმეურნეობა | |
| ფოკის " | |
| სათხის " | |
| **ახალციხის რაიონი** . . . . . . . . | 45 |
| ელიაწმინდის კოლმეურნეობა | |
| მუსხის " | |
| წყორძის " | |
| **ადიგენის რაიონი** . . . . . . . . | 50 |
| ყველა კოლმეურნეობა გარდა ს. უდეს კოლმეურნეობისა | |
| **ასპინძის რაიონი** . . . . . . . | 60 |
| ყველა კოლმეურნეობა | |
| **ხაშურის რაიონი** . . . . . . . | 40 |
| ფლევის კოლმეურნეობა | |
| ტკოცის " | |
| ცოცხნარის " | |

| რაიონებისა და კოლმეურნეობების დასახელება | დოტაცია პროცენტობით |
|---|---|
| **ქარელის რაიონი** . . . . . . . | 40 |
| დირბის კოლმეურნეობა | |
| ზღუდერის „ | |
| **გორის რაიონი** . . . . . . . . | 40 |
| ატენის კოლმეურნეობა | |
| დიცის „ | |
| მეღვრეკისის „ | |
| ზნავისის „ | |
| ტირძნისის „ | 60 |
| **კასპის რაიონი** . . . . . . . . | 40 |
| ნოსტეს კოლმეურნეობა | |
| ყარაღაჯის „ | |
| დოესის „ | |
| ახალქალაქის „ | |
| ხოვლეს „ | |
| გომის კოლმეურნეობა | |
| მეტეხის „ | |
| **ბორჯომის რაიონი** . . . . . . . | 50 |
| ბალანთის კოლმეურნეობა | |
| წაღვერის „ | |
| ტბის „ | |
| ყვიბისის „ | |
| მოლითის „ | |
| რველის „ | |
| ახალდაბის „ | |
| **საგარეჯოს რაიონი** . . . . . . . | 40 |
| პატარძეულის კოლმეურნეობა | |
| გომბორის „ | |
| კოჭბაანის „ | |
| **თელავის რაიონი** . . . . . . . | 60 |
| თეთრი წყლების კოლმეურნეობა | |

| რაიონებისა და კოლმეურნეობების დასახელება | | დოტაცია პროცენტობით |
|---|---|---|
| **მარნეულის რაიონი** . . . . . . . | | 30 |
| ყველა კოლმეურნეობა | | |
| **ბოლნისის რაიონი** . . . . . . . . | | 30 |
| დარბაზის | კოლმეურნეობა | |
| ზემო გულავერის | " | |
| ქვემო გულავერის | " | |
| ქიონეთის | " | |
| მუშევანის | " | |
| აბდალოს | " | |
| კიპირჯიკის | " | |
| **წალკის რაიონი** . . . . . . . . | | 25 |
| რეხის | კოლმეურნეობა | |
| ჩივთქილისის | " | |
| გუნია-კალის | " | |
| ნარდევანის | " | |
| თიქილისის | " | |
| ქაბურის | " | |
| ბურნაშეთის | " | |
| ყიზილქილისის | " | |
| ოლიანკის | " | |
| ოზნის | " | |
| აიაზმის | " | |
| ედიქილისის | " | |
| **დუშეთის რაიონი** . . . . . . . . | | 40 |
| ფასანაურის | კოლმეურნეობა | |
| მთიულეთის | " | |
| შუახევის | " | |
| მჭადიჯვრის | " | |
| ჭართლის | " | |

| რაიონებისა და კოლმეურნეობების დასახელება | | დოტაცია პროცენტობით |
|---|---|---|
| **თეთრიწყაროს რაიონი** . . . . . . . | | 50 |
| სამშვილდის | კოლმეურნეობა | |
| დაღეთხაჩინის | „ | |
| წინწყაროს | „ | |
| კლდეისის | „ | |
| **დმანისის რაიონი** . . . . . . . . | | 40 |
| ყველა კოლმეურნეობა გარდა გომარეთის კოლმეურნეობისა | | |
| **თიანეთის რაიონი** . . . . . . . . | | 60 |
| ყველა კოლმეურნეობა | | |
| **ცხინვალის რაიონი** . . . . . . . . | | 40 |
| დისევის | კოლმეურნეობა | |
| ქემერთის | „ | |
| **ჯავის რაიონი** . . . . . . . . . | | 60 |
| ყველა კოლმეურნეობა | | |
| **ზნაურის რაიონი** . . . . . . . . | | 50 |
| ზნაურის | კოლმეურნეობა | |
| წნელისის | „ | |
| მუგუთის | „ | |
| თიღვის | „ | |
| თერეგვანის | „ | |
| **ლენინგორის რაიონი** . . . . . . . | | 40 |
| ზახორის | კოლმეურნეობა | |
| ლარგვისის | „ | |
| წოლდის | „ | |
| წუბენის | „ | |
| ახრევის | „ | |
| წირის | „ | |
| წინაგარის | „ | |

| რაიონების და კოლმეურნეობების დასახელება | დოტაცია პროცენტობით |
|---|---|
| ცხილონის კოლმეურნეობა | |
| კიტრიულის " | |
| დორეთკარის " | |
| ორჭოსნის " | |
| **წყალტუბოს რაიონი** . . . . . . | 25 |
| ფარცხანაყანევის კალინინის სახ. კოლმეურნეობა | |
| პატრიკეთის კალინინის სახ კოლმეურნეობა | |
| ფარცხანაყანევის ჟდანოვის სახ. კოლ-ბა | |
| მუხიანის ლენინის სახელობის კოლ-ბა | |
| ქვედა მესხეთის კოლმეურნეობა | |
| საყულიის " | |
| დერჩის " | |
| **სამტრედიის რაიონი** . . . . . . | 25 |
| ნინუაკუთხის კოლმეურნეობა | |
| მელაურის " | |
| ნაბაკევის " | |
| ნაფალაურის " | |
| წიაღუბნის " | |
| გამოჩინებულის " | |
| გომის " | |
| ზედა ეწერის " | |
| **წულუკიძის რაიონი** . . . . . . | 20 |
| ძეძილეთის კოლმეურნეობა | |
| გორდის " | |
| კინჩხის " | |
| კონტუათის " | |
| პატარა ჯიხაიშის " | |
| **ვანის რაიონი** . . . . . . . . | 30 |
| ამაღლების კოლმეურნეობა | |
| გორას " | |
| უხუთის " | |
| ზეინდრის " | |
| ყუმურის " | |

| რაიონების და კოლმეურნეობების დასახელება | დოტაცია პროცენტობით |
|---|---|
| **მაიაკოვსკის რაიონი . . . . . . .** | 60 |
| ზეგანის კიროვის სახ. კოლმეურნეობა | |
| ზეგანის ჟდანოვის სახ. კოლმეურნეობა | |
| **ზესტაფონის რაიონი . . . . . . .** | 40 |
| ძირულის კოლმეურნეობა | |
| წიფლავაკის „ | |
| დილიკაურის „ | |
| ბოსლევის „ | |
| **თერჯოლის რაიონი** | |
| ნაგარევის კოლმეურნეობა | 40 |
| ჭოგნარის „ | 40 |
| გოდოგნის „ | 40 |
| ნახშირღელის „ | 40 |
| ჩხარის „ | 20 |
| ძევრის „ | 20 |
| ახალი თერჯოლის „ | 20 |
| ქვედა სიმონეთის „ | 20 |
| **ჭიათურის რაიონი . . . . . . .** | 50 |
| ყველა კოლმეურნეობა | |
| **საჩხერის რაიონი . . . . . . .** | 50 |
| მახათაურის კოლმეურნეობა | |
| ჭალოვანის „ | |
| ცხამის „ | |
| ქორეთის „ | |
| კორბოულის რუსთაველის სახ. კოლ-ბა | |
| კორბოულის ორჯონიკიძის სახ. კოლ-ბა | |
| კორბოულის კოლმეურნეობა | |
| ბაჯითის „ | |
| მოძვის „ | |
| ჯალაურთის „ | |
| გორისის „ | |
| შომახეთის „ | |

| რაიონებისა და კოლმეურნეობების დასახელება | დოტაცია პროცენტობით |
|---|---|
| ლიჩის კოლმეურნეობა | |
| ნიგვზარის " | |
| სარეკის კოლმეურნეობა | |
| ჭორვილის " | |
| სპეთის " | |
| **ორჯონიკიძის რაიონი** . . . . . . . | 60 |
| ფარცხნალის კოლმეურნეობა | |
| წყალაფორეთის " | |
| ხიდარის " | |
| I დორეშის " | |
| II დორეშის " | |
| ნადაბურის " | |
| ქროლის " | |
| ღარისხევის " | |
| ხონის " | |
| ვარძიის " | |
| ჩხერის " | |
| ვახანის " | |
| ხევის " | |
| მარელისის " | |
| ახალსოფლის " | |
| ლახუნდარის " | |
| ხორითის " | |
| ქვების " | |
| სადანძილის " | |
| სარგვეშის " | |
| ნებოძირის " | |
| ლეღვანის " | |
| დეისის " | |
| ღვერკის " | |
| ვანის " | |
| ვერტყვიჭალის " | |
| მაქათუბანის " | |
| ხუნევის " | |
| საქასრიის " | |
| ბაბის " | |

| რაიონებისა და კოლმეურნეობების დასახელება | დოტაცია პროცენტობით |
|---|---|
| **ონის რაიონი** . . . . . . . . . . | 60 |
| ყველა კოლმეურნეობა | |
| **ამბროლაურის რაიონი** . . . . . . . | 60 |
| ჰელიადელის კოლმეურნეობა | |
| თლუღის „ | |
| ცახის კოლმეურნეობა | |
| საკეციის „ | |
| აბანოეთის „ | |
| ხონჭიორის „ | |
| თხმორის „ | |
| ხოტევის „ | |
| ზნაკვის „ | |
| წკადისის „ | |
| კაჩაეთის „ | |
| ღვარდიის „ | |
| კრიხის „ | |
| ველევის „ | |
| პატარა ონის „ | |
| ლიხეთის „ | |
| ჭყვიშის „ | |
| შავრა-ნამანევის კოლმეურნეობა | |
| ლადიშის „ | |
| გორისუბნის „ | |
| სხვავას „ | |
| ნიკორწმინდის „ | |
| ძირაგეულის „ | |
| ამბროლაურის „ | |
| ჭრებალოს „ | |
| **ცაგერის რაიონი** . . . . . . . . | 60 |
| ღვირიშის კოლმეურნეობა | |
| ლაილაშის „ | |
| წილამიერის „ | |
| თაბორის „ | |
| ოყურეშის „ | |
| ისუნდერის „ | |
| უცხერის „ | |

| რაიონებისა და კოლმეურნეობების დასახელება | დოტაცია პროცენტობით |
|---|---|
| წიფერჩის კოლმეურნეობა | |
| ალვის „ | |
| უსახელოს „ | |
| ზუბის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობა | |
| ალპანის „ | |
| საირმის „ | |
| დეხვირის „ | |
| ლუხვანოს „ | |
| სურმუშის „ | |
| ლაცორიის „ | |
| ზოგიშის „ | |
| ნაკურალეშის „ | |
| ორხვის „ | |
| ნასპერის „ | |
| ტვიშის კოლმეურნეობა | |
| **ლენტეხის რაიონი** . . . . . . . | 70 |
| ჩიხარეშის კოლმეურნეობა | |
| მელეს „ | |
| ქახუნდერის „ | |
| სასაშის „ | |
| ლეუშერის „ | |
| თეკალის „ | |
| საყდრის „ | |
| ლენტეხის „ | |
| ხოფურის „ | |
| რცხმელურის „ | |
| ლესემის „ | |
| ხაჩეშის „ | |
| **აბაშის რაიონი** . . . . . . . | 25 |
| მარნის კოლმეურნეობა „შრომა“ | |
| სამიქაოს „ | |
| პირველი მაისის „ | |
| მარნის „ | |
| გეზათის „ | |

| რაიონებისა და კოლმეურნეობების დასახელება | დოტაცია პროცენტობით |
|---|---|
| **ცხაკაიას რაიონი** . . . . . . . . | 20 |
| თეკლათის კოლმეურნეობა | |
| **ზუგდიდის რაიონი** . . . . . . . . | 40 |
| განმუხურის კოლმეურნეობა | |
| ორულუს " | |
| დიდინეძის " | |
| **ხობის რაიონი** . . . . . . . . | 20 |
| ხეთის კოლმეურნეობა | |
| 1 მაისის " | |
| ხამისქურის " | |
| პირველი ხორგის " | |
| **ლანჩხუთის რაიონი** . . . . . . . | 20 |
| ჭყონაგორის კოლმეურნეობა | |
| ჩოლობარგის " | |
| ქვიანის " | |
| **ჩოხატაურის რაიონი** . . . . . . | 25 |
| ბურნათის კოლმეურნეობა | |
| შუა სურების " | |
| ზემო სურების " | |
| ზემო ხეთის " | |
| ზოტის " | |
| დიდივანის " | |
| **მესტიის რაიონი** . . . . . . . . | 70 |
| ყველა კოლმეურნეობა | |
| **ოჩამჩირის რაიონი** . . . . . . . | 20 |
| ბარათაშვილის კოლმეურნეობა | |

| რაიონებისა და კოლმეურნეობების დასახელება | | დოტაცია პროცენტობით |
|---|---|---|
| **გულრიფშის რაიონი** . . . . . . | | 20 |
| ლათის | კოლმეურნეობა | |
| მერხეულის | " | |
| ამტკელის მახარაძის სახ. | " | |
| ოქტომბრის | " | |
| მაჭარის | " | |
| ამტკელის რუსთაველის სახ. | " | |
| წითელი ოქტომბრის | " | |
| ახალი აჟარის | " | 70 |
| გენცვიშის | " | 70 |
| **სოხუმის რაიონი** . . . . . . . | | 20 |
| კელასურის | კოლმეურნეობა | 20 |
| ლინდავის | " | |
| პავლოვკის | " | |
| ოდიშის | " | |
| ახალშენის | " | |
| **გუდაუთის რაიონი** . . . . . . . | | 20 |
| ყულანურხვის | კოლმეურნეობა | |
| ანუხვის | " | |
| ბლაბურხვის | " | |
| აბღარხუქის | " | |
| კალდახვარის | " | |
| ააცის | " | |
| **გაგრის რაიონი** . . . . . . . | | 20 |
| ხოლოდნაია რეჩკას | კოლმეურნეობა | |
| ლიძავის | " | |
| **ხელვაჩაურის რაიონი** . . . . . . | | 20 |
| ზედა ჩხუტუნეთის | კოლმეურნეობა | |
| ქვედა ჩხუტუნეთის | " | |
| ჩიქუნეთის | " | |

| რაიონებისა და კოლმეურნეობების დასახელება | | დოტაცია პროცენტობით |
|---|---|---|
| **ქედის რაიონი** . . . . . . . . . . | | 20 |
| სიხალიძეების | კოლმეურნეობა | |
| ავარის | " | |
| ცხემნის | " | |
| მეძიბნის | " | |
| გუნდაურის | " | |
| ქედის | " | |
| აქუცის | " | |
| აბუქეთის | " | |
| ჯალაბაშვილების | " | |
| კოლოტაურის | " | |
| ინაშარიძეების | " | |
| დანდალოს | " | |
| პირველი მაისის | " | |
| ზვარეს | " | |
| **შუახევის რაიონი** . . . . . . . . | | 20 |
| ყველა კოლმეურნეობა | | |
| **ხულოს რაიონი** . . . . . . . . | | 20 |
| ყველა კოლმეურნეობა | | |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 13 ივლისის № 362
დადგენილების დანართი № 6

# ს ი ა

**იმ საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებსაც 1971 წლის 1 იანვრიდან მიეცემათ დოტაცია სახელმწიფოსათვის მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების შესაბამისად პროცენტობით**

| რაიონების და საბჭოთა მეურნეობების დასახელება | დოტაცია პროცენტობით |
|---|---|
| **ბოგდანოვკის რაიონი** | |
| განძის მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობა . . | 30 |
| **ბოლნისის რაიონი** | |
| რატევანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა | 20 |
| **თეთრიწყაროს რაიონი** | |
| ორბეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა . | 30 |
| გარისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა . | 20 |
| **მცხეთის რაიონი** | |
| ნიჩბისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა . | 30 |
| **კასპის რაიონი** | |
| ქვათახევის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა | 20 |
| **ცხინვალის რაიონი** | |
| თამარაშენის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა . . . . . . . . . . | 20 |
| **ჯავის რაიონი** | |
| წონის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა . . . . . . . . . . | 40 |
| **ლენინგორის რაიონი** | |
| ლენინგორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა | 20 |

| რაიონების და საბჭოთა მეურნეობების დასახელება | დოტაცია პროცენტობით |
|---|---|
| **თიანეთის რაიონი** | |
| ერწოს მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა . . . . . . . . . | 30 |
| **ხობის რაიონი** | |
| ქვალონის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა . | 30 |
| ახალსოფლის " | 30 |
| ჭალადიდის " | 30 |
| პატარა ფოთის " | 30 |
| **ჩოხატაურის რაიონი** | |
| ჩოხატაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა | 30 |
| **ხულვაჩაურის რაიონი** | |
| ბათუმის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა | 20 |
| **ზესტაფონის რაიონი** | |
| როდინაულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა | 30 |
| **ვანის რაიონი** | |
| სულორის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა . | 30 |
| **აბაშის რაიონი** | |
| ზანათის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა . . | 30 |
| სუჯუნის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საბჭოთა მეურნეობა . . . . . . . . . | 30 |
| **ცხაკაიას რაიონი** | |
| კოტიანეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა | 30 |
| ძველი სენაკის საჯიშე მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა . . . . . . . . . | 30 |
| **გაგრის რაიონი** | |
| გაგრის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა . | 25 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

## 61 საქართველოს სსრ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითად წარმოებაში დასაქმებული მოსახლეობის მომსახურე ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებას და მუშაობის რეჟიმის მოწესრიგებას.

ამ მუშაობის გასაძლიერებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 ოქტომბრის № 523 დადგენილებას „რესპუბლიკის საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სამუშაო დროის გამოყენების გაუმჯობესებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ“ და სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების დათვალიერებას, რაც 1970 წელს მოეწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, 1970 წელს განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად სამუშაო დროის დანაკარგი სამრეწველო საწარმოებში წინა წელთან შედარებით 200 ათასი კაცდღით შემცირდა.

ამასთან ერთად, სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, რომ სამუშაო დროის დანაკარგი მანქანა-მექანიზმების გაცდენისა და სამუშაო დროის გაცდენის ადმინისტრაციის ნებართვით მუშათა შვებულებების გამო, ჯერ კიდევ დიდია და შეადგენს მრეწველობაში 5,7 დღეს თითოეულ მუშაკზე, ხოლო მშენებლობაში 1,7 დღეს, ამასთან ბევრ საწარმოში სამუშაო დროის დანაკარგის აღრიცხვა სრულად როდი ხდება და ამიტომ მისი მონაცემები ხშირად შემცირებულია.

დიდია სამუშაო დროის დანაკარგი მსუბუქი, ქიმიური და ნავთობქიმიური, ხორცისა და რძის, ცემენტის მრეწველობაში.

ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებს. ამიტომ სამუშაო დროის დანაკარგის დაახლოებით ერთი მესამედი დაკავშირებულია სამუშაოს გაცდენასთან.

1970 წელს სამუშაო დროის დანაკარგი გაცდენების გამო გაიზარდა მრეწველობაში 544 ათას კაცდღემდე და ეს მაშინ, როდესაც 1968 წელს იგი 527 ათას კაცდღეს შეადგენდა.

სამუშაო დროის დიდი დანაკარგი სამრეწველო საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში დაკავშირებულია იმასთან, რომ მუშებს ხშირად ეძლევათ მოკლევადიანი უხელფასო შვებულება.

მრეწველობაში ეს დანაკარგი თანდათანობით იზრდება. მაგალითად, თუ 1968 წელს ეს დანაკარგი შეადგენდა 712 ათას კაცდღეს, 1970 წელს მან 731 ათას კაცდღეს მიაღწია.

ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაო დროის დანაკარგთან ერთად იზრდება ზედმეტ საათებში მუშაობა, რაც 1970 წელს შეადგენდა 3,6 მილიონ კაც-

საათს, ნაცვლად 3.1 მილიონი კაცსაათისა 1968 წელს. ზედმეტ საათებში დიდძალი სამუშაოები სრულდება მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში.

შრომითი რესურსების არარაციონალურად გამოყენებისა და ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაო დროის დანაკარგის ერთ-ერთი მიზეზი აგრეთვე ის არის, რომ თბილისის, ქუთაისის, ცხინვალის, სოხუმის, ბათუმისა და ზოგიერთი სხვა ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები მთლიანად ვერ ასრულებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს იმის შესახებ, რომ გაუმჯობესდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთი ორგანიზაციისა და საწარმოს, მმაჩების, სახლმმართველობებისა და საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების, შემნახველი სალაროების, სანოტარო კანტორებისა და სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციების, აგრეთვე სამხედრო კომისარიატების მუშაობის რეჟიმი ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობების შესაბამისად.

საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სამუშაო დროის დანაკარგის შემცირების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, საწარმოთა დირექტორებს და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 სექტემბრისა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ:

ხელით მძიმე შრომის ხვედრითი წონის შემცირებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით მომუშავეთა ჯანმრთელობისათვის მავნე საწარმოებში;

— შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, ნორმირებისა და დაცვის გაუმჯობესებას, რომლებიც ხელს უწყობენ სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და შრომის ანაზღაურების გადიდებას, მუშათა საბინაო და სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო პირობების, აგრეთვე კვების ბლოკების მუშაობის გაუმჯობესებას;

— შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი შვებულების მიცემის მაქსიმალურად შემცირებას, ყოველგვარი თათბირებისა და სხდომების აკრძალვას სამუშაო დროს, წარმოებაში დასაქმებულ მოქალაქეთა მოცდენას სამუშაოსაგან სპორტული და სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებებისათვის;

— სამუშაო დროის ყველა სახეობის დანაკარგის (მანქანა-მექანიზმების მოცდენა და სამუშაო დროის გაცდენა, დაგვიანება და ა. შ.) მონაცემების მტკიცე და ზუსტი აღრიცხვისა და ანალიზის მოწყობას, ამ დანაკარგების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას, ნორმატიულ-კვლევითი სადგურების ანალიზური მონაცემებისა და მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების გამოყენებას ამ მიზნისათვის, ნორმატიულ-კვლევითი სადგურების როლის ამაღლებას სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა შემუშავებაში, მათდამი მომთხოვნელობის გაძლიერებას;

— ახალი სადგომების მშენებლობას საწარმოებისა და მუშათა დაბების ტერიტორიაზე, რათა მოეწყოს ამ სადგომებში საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები და მიმღები პუნქტები, ან მიეცეს ამ ობიექტებს სათანადო სადგომები არსებულ შენობებში.

2. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

— მოაწყოს სამედიცინო დაწესებულებების მუშაობა რომლებიც მომსახურებას უწევენ სამრეწველო საწარმოებს, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებს, იმგვარად, რომ სრულად იქნეს გათვალისწინებული მოცემული საწარმოს თავისებურებანი, მისი მუშაობის რეჟიმი და შეიქმნას უფრო მოხერხებული პირობები მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის ყველა ცვლაში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ მშრომელთა მომსახურებას, რომლებიც დასაქმებული არიან სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში და შრომის მავნე პირობებიან საწარმოებში;

— გააუმჯობესოს საწარმოებთან არსებული ჯანდაცვის პუნქტების მუშაობა, დააკომპლექტოს ისინი შესაბამისი სამედიცინო კადრებით, აამაღლოს იმ ექიმთა მომზადების დონე, რომლებიც შრომის ჰიგიენის, პროფესიული პათოლოგიისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებზე მუშაობენ;

— მოაწყოს დისპანსერების, აფთიაქის მაღაზიების, ვიწრო სპეციალობათა ექიმების და დამხმარე სამკურნალო კაბინეტების მუშაობა ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში როგორც ჩვეულებრივ დღეებში ისე შაბათობითაც, ამასთან გაითვალისწინოს მუშების დასაქმებულობა საღამოსა და ღამის ცვლებში;

— შემოიღოს ექიმებთან წინასწარი ჩაწერა ტელეფონით, დანერგოს ავადმყოფთა ჩაწერის სატალონო სისტემა, ექიმის კაბინეტისა და მიღების დროის აღნიშვნით.

3. საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ: ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა ძირეულად გააუმჯობესონ ყველა სახეობის საქალაქო ტრანსპორტის მუშაობა, შეიმუშაონ მისი მოძრაობის მარშრუტები და გრაფიკები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მუშებისა და მოსამსახურეების განსაკუთრებით საღამოსა და ღამის ცვლებში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების, შეუფერხებლივ მიყვანა საწარმოებსა და დაწესებულებებში სამუშაოს დროის დაწყებისათვის და მათი დაბრუნება სამუშაოდან მისი დამთავრების შემდეგ.

4. იუსტიციის სამინისტრომ: თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის ქუთაისის, რუსთავის, გორის, თელავის, ჭიათურის, ფოთის, ტყვარჩელის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ერთად მოაწყოს მმაჩის ბიუროებისა და მათი არქივების, სანოტარო კანტორებისა და იურიდიული კონსულტაციების მუშაობა ამ ქალაქებში შაბათობით და სამუშაო დღეებში 10 საათიდან, ამასთან აძლიოს მათ თანამშრომლებს დასვენების დღეები კვირაობით და ორშაბათობით.

5. კავშირგაბმულობის სამინისტრომ:

— გაადიდოს კავშირგაბმულობის იმ განყოფილებების რიცხვი, რომლებიც შაბათობითა და კვირაობით მუშაობენ;

— აწარმოოს ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა, საქალაქთაშორისო სატელეფონო ლაპარაკისათვის აბონენტებთან ანგარიშსწორების გამო ცნობების მიცემა, მომსვლელთა მიღება, ცნობების გაცემა თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელის სამმართველოში სამუშაო დღეებში და შაბათობით.

6. სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველომ: გაადიდოს იმ შემნახველი სალაროების რიცხვი, რომლებიც მუშაობენ შაბათობით და კვირაობით და გახანგრძლივებულ სამუშაო დღეს, დააწესოს შემნახველ სალაროებში შესვენების დრო წარმოებაში დასაქმებულ მშრომელთათვის უფრო მოხერხებული პირობების შექმნის გათვალისწინებით.

7. კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ჭიათურის, ტყიბულის, ფოთის, ტყვარჩელის, თელავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა მოაწყონ საბინაო სამმართველოების, საცხოვრებელი ფართობის გადაცვლის ბიუროების, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების, სახლმმართველობების, საბინაო-კომუნალური განყოფილებებისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სხვა დაწესებულებების მუშაობა სამუშაო დღეებში და შაბათობით 11 საათიდან, ამასთან აძლიონ მათ თანამშრომლებს დასვენების დღეები კვირაობით და ორშაბათობით.

8. ვაჭრობის სამინისტრომ და თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, გორის, ფოთის ცხინვალის და სხვა ქალაქების სავაჭრო ორგანიზაციებმა გარდაქმნან ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის რეჟიმი, აგრეთვე დააწესონ ამ ქალაქებში ახალი პურის, ხორცის, რძისა და მჟავე რძის პროდუქციის ვაჭრობის დროს ყველა ცვლაში დასაქმებულ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ინტერესების გათვალისწინებით.

9. განათლების სამინისტრომ:

— მოაწყოს იმ საწარმოების მუშაკთა შვილების სათანადო მომსახურება, რომლებიც მცოცავი გრაფიკით მუშაობენ, საბავშვო ბაღებსა და ბაგებში;

— ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ერთად შეისწავლოს მცოცავი გრაფიკით მომუშავე სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელთა მშობლების მოთხოვნები და საჭიროების შემთხვევაში მოაწყოს ახალი სასწავლო წლიდან სათანადო ტიპის აღმზრდელობითი ჯგუფები.

10. შინაგან საქმეთა სამინისტრომ:

— დააწესოს თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ზუგდიდის, ჭიათურის, ფოთის, ახალციხის, გაგრის, ქობულეთის მილიციის რაიონული განყოფილებების საპასპორტო მაგიდების აპარატის სამუშაო დღე ხუთდღიურის სამუშაო დღეებში 11 საათიდან 20 საათამდე, შაბათობით — 9 საათიდან 17 საათამდე, ამასთან აძლიოს მათ თანამშრომლებს დასვენების დღეები კვირაობით და ორშაბათობით; დამატებით შექმნას 1971

წლის დამლევამდე დიდ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და საცხოვრებელ მასივებთან 70 საპასპორტო კუთხე, ამასთან მოაწყოს ამ კუთხეებში მუშაობა საპასპორტო მაგიდების თანამშრომელთა და საზოგადოებრიობის ძალებით;

— მოაწყოს თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ზუგდიდში, ხაშურში, რუსთავსა და სხვა ქალაქებში მოქალაქეთა მიღება სახელმწიფო ავტოინსპექციის საქმიანობის საკითხებზე სამუშაო დღეებში მუშაობის დროს და კვირაში ორჯერ საღამოობით, აგრეთვე შაბათობით;

— უზრუნველყოს მოქალაქეთა სისტემატურად მიღება სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკების მიერ უშუალოდ საწარმოებსა და დაწესებულებებში.

11. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ:

— მოაწყოს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების ერთი ნაწილის მუშაობა დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში შაბათობით და კვირაობით, ამასთან აძლიოს ამ საწარმოების თანამშრომლებს დასვენების დღეები ორშაბათობით და სამშაბათობით.

— დააწესოს საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაობის საათები იმ მოქალაქეებისათვის უფრო მოსახერხებელ დროს, რომლებიც დღის, საღამოსა და ღამის ცვლაში მუშაობენ;

— მოაწყოს დიდი საწარმოების ტერიტორიაზე ან მათ მახლობლად სტაციონარული ან მოძრავი პუნქტები, რომლებიც მუშა-მოსამსახურეებისაგან მიიღებენ ფეხსაცმლის რემონტის, თეთრეულის გარეცხვის, ქიმიური წმენდისა და სხვა მომსახურების შეკვეთებს, ისე, რომ მიეცეთ შემკვეთებს შესრულებული შეკვეთები ამავე პუნქტების მეშვეობით.

12. იმ მიზნით, რომ შემდგომ განვითარდეს საყოფაცხოვრებო საწარმოების ქსელი და უზრუნველყოფილ იქნან კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები პირველი საჭიროების საყოფაცხოვრებო მომსახურებით, დაევალოთ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებს და რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს ფართოდ გაშალონ საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა და შემდგომ გადასცენ ისინი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებს.

13. იმ მიზნით, რომ შეიქმნეს იმ დაწესებულებათა ნორმალური მოქმედებისათვის საჭირო პირობები, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობას (სანოტარო კანტორები, მმაჩები, საპასპორტო მაგიდები, შემნახველი სალაროები და ა. შ.), დაევალოთ შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს სამი თვის ვადაში შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც უახლოეს დროში უზრუნველყოფენ აღნიშნულ სამსახურებს საჭირო სადგომებითა და ინვენტარით.

14. ფართო ინფორმაცია მიეწოდოს მოსახლეობას იმ დაწესებულებების მუშაობის რეჟიმის შესახებ, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობას, ეცნობოთ მათი ზუსტი ადგილსამყოფელი, გამოყენებულ იქნას ამისათვის მა-

სობრივი ინფორმაციის საშუალებანი და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე ამ დაწესებულებათა მუშაობის რეჟიმის მაჩვენებლები.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ გააძლიეროს იმისადმი კონტროლი, თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშები სამუშაო დროის დაკარგვის შესახებ.

16. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას მოაწყოს რაიონული განყოფილებების მუშაობა იმგვარად, რომ თავის დროზე შემოვიდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და შემნახველი სალაროების ობიექტების ყოველდღიური ამონაგები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი 1971 წ. 13 ივლისი № 363

## 62 კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ობიექტებზე დამონტაჟებული მოწყობილობის ამუშავება-გამართვის და ამ მოწყობილობის ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა წარმოების გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციებისათვის დაკისრების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 28 ივნისის № 444 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“:

ა) კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში, მეცხოველეობის კომპლექსებსა და სხვა საწარმოო ობიექტებში გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციების მიერ დამონტაჟებული მოწყობილობის ამუშავება-გამართვის სამუშაოთა შესრულება და ამ მოწყობილობის აყვანა საპროექტო ნაყოფიერებამდე;

ბ) მოწყობილობის ტექნიკური მომსახურება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში, მეცხოველეობის კომპლექსებსა და სხვა საწარმოო ობიექტებში, ამ მოწყობილობის რემონტი კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან სახელშეკრულებო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწყისებზე, აგრეთვე ამ მოწყობილობის უფრო ეფექტიანად გამოყენების სწავლება კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის.

დაწესდეს, რომ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციებს კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ერთად ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოწყობილობის შეუფერხებელი მუშაობისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებში, მეფრინველეობის ფაბრიკებსა და მეცხოველეობის კომპლექსებში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სოფლის მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებთან ერთად „საკსოფლტექნიკასთან“ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით ყოველწლიურად გაითვალისწინოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პროექტებში რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ დავალებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში, მეცხოველეობის კომპლექსებსა და სხვა საწარმოო ობიექტებში კომპლექსური მექანიზაციის სამუშაოთა დანერგვის, აგრეთვე სამონტაჟო და ამუშავება-გამართვის სამუშაოთა შესრულების შესახებ.

3. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ყოველწლიურად 1 მარტამდე სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებთან ერთად და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“ შეთანხმებით წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საკსოფლტექნიკისა“ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის შემდგომ წარსადგენად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იმ მეცხოველეობის კომპლექსების, ფერმების, მეფრინველეობის ფაბრიკებისა და სხვა საწარმოო ობიექტების ნუსხები, რომლებიც შემდგომ წელს უნდა აშენდეს, და რომლებიც მოწყობილობითა და სხვა ნაკეთობებით უნდა დააკომპლექტოს „საკსოფლტექნიკის“ „გლავსელკომპლექტმა“ თანახმად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 აპრილის № 226 დადგენილებისა „სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების განვითარების შესახებ“.

4. დაწესდეს, რომ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის სამონტაჟო ორგანიზაციები 1972 წლიდან დაწყებული, საპროექტო დოკუმენტაციისა და სამუშაოთა წარმოების შესახებ დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად, შეიძენენ ტექნოლოგიურ მოწყობილობას, რომელიც უნდა დამონტაჟდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში, მეცხოველეობის კომპლექსებსა და სხვა საწარმოო ობიექტებში და უზრუნველყოფენ მის მიტანას მონტაჟის ადგილზე, ამასთან შემკვეთები გადაიხდიან მოწყობილობის ღირებულებას მისი დაყენებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ.

5. რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ „საკსოფლტექნიკასთან“ შეთანხმებით წარმოუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრთა საბჭოს იმის შესახებ, რომ შეიქმნეს „საქსოფლტექნიკის" სისტემაში მოძრავი მექანიზებული კოლონები, რომლებიც შეასრულებენ მოწყობილობას მონტაჟის სამუშაოებს მეცხოველეობის კომპლექსებში, ფერმებსა და მეფრინველეობის ფაბრიკებში, აგრეთვე ამ მოწყობილობის ამუშავება-გამართვის სამუშაოებს იმ პირობებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 6 ივნისის № 629 დადგენილებით „საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მეცხოველეობის სადგომებისა და სხვა შენობებისა და ნაგებობების მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის ღონისძიებათა შესახებ" ისე, რომ კოლონები დაკომპლექტებულ იქნან მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით რესპუბლიკის რესურსების ხარჯზე.

6. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" მოაწყოს „საკსოფლტექნიკასთან" შეთანხმებით და საჭიროების მიხედვით რაიონულ განყოფილებებში პუნქტები, რომლებიც ტექნიკურ მომსახურებას გაუწევენ მანქანებსა და მოწყობილობას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში, მეცხოველეობის კომპლექსებსა და სხვა საწარმოო ობიექტებში, აგრეთვე მოაწყოს ამ მანქანებისა და მოწყობილობის კვანძებისა და აგრეგატების გადაცვლის პუნქტები.

7. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 28 ივნისის № 444 დადგენილებით:

„საკსოფლტექნიკას" დაეკისრა დაამზადოს სპეციალური სამონტაჟო-ტექნოლოგიური მოწყობილობა, რთული სამონტაჟო ნამზადები, აღჭურვილობა და ხელსაწყოები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ყოველივე ამით „საკსოფლტექნიკის სისტემის სამონტაჟო ორგანიზაციები და ტექნიკური მომსახურების სამსახურები, აგრეთვე მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკური მომსახურების პუნქტები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში, მეცხოველეობის კომპლექსებსა და სხვა საწარმოო ობიექტებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა გაითვალისწინოს გეგმებში „საკსოფლტექნიკის" დავალებანი აღნიშნული მოწყობილობის, ნამზადების, აღჭურვილობისა და ხელსაწყოების დამზადების შესახებ, აგრეთვე გაითვალისწინოს გეგმების პროექტებში სპეციალური მოძრავი ლაბორატორიების დამზადება „საკსოფლტექნიკის" საწარმოებში უაზ-452დ ბაზიზე სოფლტექნიკის რაიონული გაერთიანებებისათვის 1972 წელს 300 ცალის და 1973—1975 წლებში — ხუთას-ხუთასი ცალის რაოდენობით „მმტოჟის" იმ მოძრავი სახელოსნოების წარმოების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 ივლისის № 573 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე Დ. ᲥᲘᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ქ. თბილისი, 1971 წ. 16 ივლისი, № 373

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 63 მოსწავლეებისა და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებისათვის ახალი ფორმის ტანსაცმლის ნიმუშების დამტკიცების შესახებ

ითვალისწინებს რა მშობლების, სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების სურვილს, რომ ნაწილობრივ შეიცვალოს მოსწავლე ვაჟების ტანსაცმლის არსებული ფორმა უფრო ჰიგიენური, მოხერხებული და პრაქტიკული ტანსაცმლით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს განათლებისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების წინადადება და დამტკიცდეს მოსწავლე ვაჟების ფორმის ტანსაცმლის ახალი ნიმუშები: 1-10 კლასების მოსწავლეებისათვის — კოსტიუმი 4421 არტიკულის შალის ქსოვილისაგან (სასკოლო მაული რუხი ფერისა) და პერანგი 815 არტიკულის ბამბის ქსოვილისაგან (თეთრი პოპლინი).

2. ვაჭრობის სამინისტრომ არ შეცვალოს 1971 წელს მისაწოდებელი ფორმის ტანსაცმლის რაოდენობა.

3. მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ 1971 წლის 1 აგვისტოდან შეწყვიტოს მოსწავლეთა ფორმის ტანსაცმლის შეკერვა ძველი ნიმუშის მიხედვით.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 თებერვლის № 232 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 16 ივლისი, № 374

## 64 მცირე სახელოსნოების მუშაკთა შრომის სახელშეკრულებო საწყისებზე ანაზღაურების წესისა და მათი მუშაობის პირობების დებულების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 დეკემბრის № 963 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ მოწონებული და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული დებულება საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მცირე სახელოსნოების მუშაკთა სახელშეკრულებო საწყისებზე შრომის ანაზღაურების წესისა და მათი მუშაობის პირობების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 19 ივლისი, № 377

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 19 ივლისის № 377
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მცირე სახელოსნოების მუშაკთა სახელშეკრულებო საწყისებზე შრომის ანაზღაურების წესისა და მათი მუშაობის პირობების შესახებ

1. „მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 დეკემბრის № 963 დადგენილების შესაბამისად, სახელშეკრულებო საწყისებზე შრომის ანაზღაურებასა და მუშაობის პირობებზე შეიძლება მიღებულ (გადაყვანილ) იქნან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მცირე სახელოსნოების (ატელიების, ფოტოგრაფიების, საპარიკმახეროებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების) მუშაკები, სადაც მომუშავეთა რაოდენობა 1, 2 და 3 კაცია.

საჭიროების შემთხვევაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოებისათვის სახელშეკრულებო საწყისებზე შეიძლება გამოყენებულ იქნან პირები, არასრული სამუშაო დღით, აგრეთვე შეთავსებით სხვა საწარმოებში დასაქმებული მუშაკები მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მომსახურების იმ სახეობათა ნუსხას, რომელთა შესრულების დროს რეკომენდებულია შრომის ანაზღაურების გამოყენება და მუშაობის პირობები სახელშეკრულებო საწყისებზე, განსაზღვრავენ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ან მისი დავალებით — ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამინისტროები და აღმასკომების სამმართველოები საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ან შესაბამის ადგილობრივ საფინანსო ორგანოებთან შეთანხმებით.

2. ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოები დადებენ მცირე სახელოსნოების მუშაკებთან, რომლებსაც მიიღებენ (გადაიყვანენ) შრომის ანაზღაურებაზე სახელშეკრულებო საწყისებზე, ხელშეკრულებებს იმ ფორმის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ პროფკავშირის შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით.

მუშაკთა გადაყვანას სახელშეკრულებო საწყისებზე შრომის ასანაზღაურებლად ამ დებულების შესაბამისად, წინ უნდა უძღოდეს სამუშაოს შესრულების, მოსახლეობის მომსახურების ხარისხისა და კულტურის ამაღლების, მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლისა და სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება.

სახელშეკრულებო საწყისებზე მუშაკთა შრომის ანაზღაურების შემოღებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ამონაგების წინმსწრები ზრდა საშუალო ხელფასის ზრდასთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სახელშეკრულებო საწყისებზე მომუშავე მუშაკები მოვალენი არიან:

შეასრულონ მომსახურება მხოლოდ და მხოლოდ თავისი პირადი შრომით საწარმოს მიერ გამოყოფილ სადგომებში, ოჯახში, ან სხვა სადგომებში საწარმოსთან შეთანხმებით;

შეასრულონ სამუშაოები (გაუწიონ მომსახურება) მოქმედი პრეისკურანტებით გათვალისწინებულ ფასებში. პრეისკურანტები ან მათი ამონაწერები გამოკრული უნდა იქნეს სახელოსნოში;

უზრუნველყონ შესრულების ხარისხი, რაც დაწესებულ ტექნიკურ პირობებს და შემკვეთთა სურვილებს შეესაბამება, და მომსახურების მაღალი კულტურა;

შეასრულონ შეკვეთები იმ ვადაში, რომელიც დაწესებულია შეკვეთების მიღებისა და გაცემის მოქმედი წესებით. წესები ან მათი ამონაწერები გამოკრული უნდა იქნეს სახელოსნოში;

დაიცვან საწარმოებთან დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული რეჟიმი სახელოსნოს მუშაობისა;

სუფთად და წესრიგში იქონიონ ხელშეკრულებით გამოყოფილი სადგომები, უზრუნველყონ მოწყობილობისა და ინსტრუმენტის სწორი ექსპლოატაცია და გამოასწორონ მუშაობის პროცესში აღმოჩენილი მიმდინარე ხასიათის დეფექტები;

შეიტანონ ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოს სალაროში ან საწარმოს მიმდინარე ანგარიშზე მთელი მიღებული ამონაგები ხელშეკრულებით დაწესებულ ვადებში (სახსრების ინკასაციისათვის დაწესებული ვადების ფარგლებში);

აძლიონ შემკვეთს ნივთის მიღების დროს დაწესებული ნიმუშის საფირმე ჟეტონი (ტალონი), რომელსაც შემკვეთი დააბრუნებს შესრულებული შეკვეთის მიღების დროს;

შემკვეთის მოთხოვნით მუშაკი ჟეტონის (ტალონის) ნაცვლად მისცემს მას დაწესებული ფორმის ხელწერილს ნივთის მიღებაზე შეპირობებული (შემკვეთთან) შეფასებით, აგრეთვე შესრულებული სამუშაოსათვის ფულის მიღებაზე;

საათებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების სხვა საგნების სარემონტო სახელოსნოებში, სადაც დაწესებულია გარანტიის ვადა, მუშაკი მისცემს შემკვეთს შესაბამის საგარანტიო ტალონს.

უკეთუ გარანტიის ვადის დამთავრებამდე აღნიშნულ საგნებში აღმოჩნდა რაიმე დეფექტი, განმეორებითი რემონტი წარმოებს მოქმედი დებულებით გათვალისწინებული წესით, დამატებითი საფასურის გადაუხდელად.

4. მუშაკი პასუხისმგებელია საწარმოსა და შემკვეთის წინაშე სამუშაოთა შესრულების ხარისხისა და მომსახურების კულტურისათვის. შემკვეთთა საჩივრებს განიხილავს საწარმო, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს იმ ზარალის სრული ანაზღაურება, რომელიც შემკვეთებს მოუვიდათ ნივთების გაფუჭებასთან ან დაკარგვასთან, მომსახურების დაბალ ხარისხთან, მათი საპრეისკურანტო ღირებულების გადიდებასთან და შეკვეთების შესრულების ვადების დარღვევასთან დაკავშირებით.

5. ხელშეკრულებაში დაწესდება ამონაგების დავალება მთლიანად მთელი წლისათვის ან დროის სხვა პერიოდისათვის (მუშაკის მორიგი შვებულების დროის გამოკლებით) სეზონურობის, სახელოსნოს ადგილმდებარეობის, მოცემული სახეობის სამუშაოზე (მომსახურებაზე) მოსახლეობის მოთხოვნილების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამონაგების დავალება უნდა იყოს დადგენილი იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოს ხელფასის მიცემა მუშაკისათვის, აანაზღაუროს საწარმოს ხარჯები (ნედლეულის, მასალების, სათადარიგო ნაწილების ღირებულება, საამქრო და საერთო საწარმოო ხარჯები, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ანარიცხები). უზრუნველყოს დაგროვება რენტაბელობის ნორმალური დონის საფუძველზე, ხოლო გეგმიან-საზარალო დაწესებულებებში ზარალის შემცირების დავალების შესრულება.

ხელშეკრულებაში აგრეთვე გათვალისწინებული იქნება კონკრეტული ოდენობა მოგების ანარიცხებისა ცალკე თითოეული მუშაკის შრომის ასანაზღაურებლად. დავალებით გათვალისწინებული ამონაგების თანხის ანარიცხების პროცენტმა უნდა უზრუნველყოს ხელფასის მიცემა თითოეული მუშაკისათვის (სრული თვის განმავლობაში მუშაობის დროს) არანაკლებ მისი სატარიფო (საანგარიშო) სარგოსი ან განაკვეთისა. საწარმოს მიერ დავალების გადამეტებით მიღებული ამონაგების თანხიდან დაწესდება შრომის ანაზღაურების ანარიცხების უფრო მაღალი პროცენტი.

მუშაკთა შრომის ანაზღაურების ამონაგების ანარიცხების ოდენობა უნდა გადაისინჯოს, თუ შეიცვალა სამუშაო და მომსახურების შესრულების ორგანიზაციულ-ტექნიკური ნორმები და საპრეისკურანტო ფასები.

6. სახელოსნოების მუშაობის რეჟიმმა, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, უნდა უზრუნველყოს შემკვეთთა მომსახურება მოსახლეობისათვის უფრო მოსახერხებელ დღეებსა და საათებში. ამასთან მუშაკთა სამუშაო დროის რეჟიმს დააწესებს საწარმო პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით მომსახურებაზე მოთხოვნილების სეზონური გადიდების ან შემცირების გათვალისწინებით ისე, რომ დაცულ იქნას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (3 თვის ფარგლებში) სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რაც დაწესებულია მოქმედი კანონმდებლობით.

7. შესასრულებელ სამუშაოთა (მომსახურების) და შემოსული ამონაგების აღრიცხვა ხორციელდება ქვითრებისა და მათი შემცვლელი სხვა საბუთების გამოუწერლად იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამონაგების დავალებათა დაწესების დროს დადებული ხელშეკრულებით.

8. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება მასალების ხარჯვის ნორმები ფულადი ან ნატურალური გამოხატულებით ერთი მანეთის ამონაგებზე გაანგარიშებით. ამ ნორმებით წარმოებს დახარჯული მასალების ჩამოწერა ამონაგების ფაქტიური თანხის მიხედვით. აგრეთვე შეიძლება დაწესდეს ამ მასალების გაცემის ლიმიტები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამონაგების დავალების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელშეკრულებას დაერთვის ნედლეულის, მასალებისა და სათადარიგო ნაწილების ნუსხა, რომლებსაც მუშაკს მისცემს საწარმო დაწესებული ლიმიტის ანგარიშში.

მუშაკისათვის ნედლეულის, მასალებისა და სათადარიგო ნაწილების მიცემა საწარმოს საწყობიდან ხდება პირველად — თვიური ლიმიტის ფარგლებში, ხოლო შემდეგში — მათი ხარჯვისა და ჩაბარებული ამონაგების თანხის გათვალისწინებით.

9. მუშაკებს ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა საწარმოს წინაშე ნივთების დაკარგვა-გაფუჭებისა და ზარალის მიყენებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. საწარმო ვალდებულია:

— უზრუნველყოს მუშაკები საწარმოო სადგომებით, მოწყობილობით, ინვენტარით, ინსტრუმენტით დაწესებული ნორმების თანახმად, გასაწევი მომსახურების (სამუშაოს) ფასების პრეისკურანტებით, ჟეტონებით (ტალონებით), დაწესებული ფორმის ხელწერილებით, საგარანტიო ტალონებით, რეკლამით, მუშაობის შესაფასებელი, საჩივრებისა და წინადადებათა დავთრით, შეკვეთების მიღება-გაცემის წესებით ან მათი ამონაწერებით;

— აწარმოოს სახელოსნოების სადგომების, აგრეთვე მოწყობილობისა და ინვენტარის რემონტი;

— აძლიოს მუშაკს ხელფასი ამონაგების თანხის იმ პროცენტის შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით. ამასთან გამომუშავების ნორმები და დროის ნორმები მუშაკს არ დაუწესდება, გაცდენის დროის აღრიცხვა არ წარმოებს;

მუშაკებს ხელფასი დაერიცხებათ იმ ამონაგების თანხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის მიხედვით, რაც ჩაბარებულია სალაროში ან საწარმოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე.

იმ საწარმოს ადმინისტრაცია, რომლის გამგებლობაშიაც იმყოფება სახელოსნოები, სადაც მუშაკთა შრომის ანაზღაურება სახელშეკრულებო საწყისებზე წარმოებს, პასუხისმგებელია ამ სახელოსნოების მდგომარეობისა და საქმიანობისათვის, მათ შორის ამონაგების გეგმის სწორად დაწესებისათვის, მოქმედი პრეისკურანტით გათვალისწინებულ ფასებში სამუშაოთა შესრულებისათვის, ამონაგებისა და ხელფასის ზრდას შორის სწორი თანაფარდობისათვის.

11. თანხების მიცემა მუშაკებისათვის მატერიალური წახალისების ფონდიდან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოებს იმ წესით, რასაც საწარმოთა ხელმძღვანელები დაადგენენ პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით.

12. საწარმოს ადმინისტრაციას ან მუშაკს შეუძლია დაარღვიოს ხელშეკრულება, თუ იგი არ შესრულდა იმ საფუძვლებისა და იმ წესის მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 65 „საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისათვის ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა უფასო საკონტროლო ეგზემპლარების დაგზავნის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 აგვისტოს № 677 დადგენილების დამატების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 აგვისტოს № 677 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ იმ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების სიას, რომლებსაც ეგზავნებათ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა უფასო საკონტროლო ეგზემპლარები, შემდეგი პუნქტი:

„15. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რესპუბლიკური სამეცნიერო ბიბლიოთეკა — საქართველოს სსრ გამომცემლობების მიერ გამოშვებული ყველა წიგნის, ბროშურისა და ჟურნალის თითო ეგზემპლარი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 22 ივლისი. № 385

## 66 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 ივლისის № 453 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„სამოქალაქო საჰაერო ფლოტის და გაზის მრეწველობის ორგანიზაციების კუთვნილი სახლებიდან იმ პირთა გამოსახლების წესის შესახებ, რომლებმაც ამ ორგანიზაციებთან შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 ივლისის № 453 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ზემოაღნიშნული დადგენილების უკანასკნელი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„52. სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს ორგანიზაციების საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 23 ივლისი, № 387

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 67 საქართველოს სსრ ტყეების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის ტყეების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გაძლიერების მიზნით და „სსრ კავშირის ტყეების სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცებისა და ტყეების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 18 ივნისის № 395 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, შინაგან საქმეთა სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სატყეო ინსტიტუტს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ა) იხელმძღვანელონ სსრ კავშირის ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების წესებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 18 ივნისის № 395 დადგენილებით;

ბ) ყოველწლიურად, ხანძრის მხრივ საშიში სეზონის დაწყებამდე, შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყეების დაცვას ხანძრებისაგან, აგრეთვე დაადგინონ წესი მოსახლეობის, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისა ტყის ხანძრების ჩასაქრობად.

ტყის ხანძრების ჩაქრობის სამუშაოები ანაზღაურდეს იმ სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხარჯზე, რომლებიც არიან ტყის ფონდის მქონენი;

გ) დახმარება გაუწიონ სატყეო-სამეურნეო და ტყეების მქონე სხვა საწარმოებს ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების გზების მშენებლობაში და უზრუნველყონ ტყის ხანძრების ჩასაქრობად გამოყენებული პირები გადასაყვანი საშუალებებითა და კვებით;

დ) გამოყონ ხანძრის მხრივ საშიში სეზონისათვის სატყეო-სამეურნეო ორგანოების განკარგულებაში, როგორც მორიგე ტრანსპორტი, საჭირო რაოდენობით ავტომობილები და სხვა სატრანსპორტო საშუალებანი და საწვავის მარაგი;

ე) შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყეების დაცვის გაძლიერებას მშრომელთა მასობრივი დასვენების ადგილებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტყის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ღონისძიების კოორდინაცია.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ, სოფლის მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა, თბილისის სატყეო ინსტიტუტმა დაავალონ საქვეუწყებო ორგანიზაციებს:

ა) ყოველწლიურად შეიმუშაონ ტყის ხანძრების ქრობის ოპერატიული გეგმები და დასამტკიცებლად წარუდგინონ ისინი მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს;

ბ) უზრუნველყონ ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობისა და ინვენტარის, საავტომობილო ტრანსპორტის რემონტი, მოაწყონ სამეთვალყურეო პუნქტები და განახორციელონ ხანძარსაწინააღმდეგო ქიმიური სადგურების მშენებლობა.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ გაითვალისწინონ რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის განვითარების ყოველწლიურ გეგმებში ხანძარსაწინააღმდეგო და სატყეო-სამეურნეო დანიშნულების გზების მშენებლობა.

5. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველომ:

ა) რიგგარეშე მიჰყიდონ სამგზავრო ბილეთები ტყის დაცვისა და სატყეო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებს, აგრეთვე მუშებს, რომლებიც ისინი ტყის ხანძრების ჩასაქრობად მიდიან (იქით და აქეთ);

ბ) რიგგარეშე გადაზიდონ ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა, ინვენტარი, ქიმიკატები, ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა საწვავი და საცხები მასალა ტყის ხანძრების წინააღმდეგ საბრძოლველად, აგრეთვე პროდუქტები იმ პირებისათვის, რომლებიც ტყის ხანძრების ჩაქრობაზე მუშაობენ.

6. ეთხოვოს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლობას მისცეს მითითება ტყეებში განლაგებულ ჯარის ნაწილებსა და შენაერთებს ტყეში სამუშაოთა წარმოების დროს დაიცვან ხანძარსაწინააღმდეგო წესები და მიიღონ ზომები გაჩენილი ტყის ხანძრების ჩასაქრობად.

7. ტყის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის ოპერატიული ხელმძღვანელობისა და ზომების მისაღებად შეიქმნას რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. ი. კუჭავა (კომისიის თავმჯდომარე), შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ვ. ი. შადური, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადი-

რეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ გ. ს. მემარნიშვილი, საბჭოთა მეურნეობების მინისტრის პირველი მოადგილე გ. ი. კეჩხუაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. ვ. ქ. სანიკიძე.

დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მოაწყონ შესაბამისი კომისიები.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტებმა სამი თვის ვადაში გამოსცენ „სსრ კავშირის ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების წესები“ ქართულ და რუსულ ენებზე და დაუგზავნონ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს.

9. ეცნობოთ სამინისტროებსა და უწყებებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1971 წლის 18 ივნისის № 395 დადგენილებით „სსრ კავშირის ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცებისა და ტყეების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ყოველწლიურად გამოუყონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს თავისი სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე ტყის ფონდის მქონე სხვა სამინისტროებსა და უწყებებს სახსრები ხანძრის მხრივ საშიშ სეზონში სამუშაოდ მიღებული სახანძრო დარაჯებისათვის ხელფასის მისაცემად ტყის მცველთა ხელფასის წლიური ფონდის 10 პროცენტის ოდენობით.

10. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად წარმოუდგინოს მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც შეტანილი უნდა იქნან საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებში ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ბ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 29 ივლისი, № 400

## 68 ქალაქ თბილისის თბომომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და მთავარმომარაგებას განიხილონ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განაცხადები მექანიზმებზე, დანადგარებსა და მასალებზე, და მაქსიმალურად დააკმაყოფილონ თბომეურნეობის მოთხოვნები როგორც 1971 წელს, ისე მომდევნო წლებში.

2. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ მიმდინარე წლის ბოლომდე შეიმუშაოს ახალი ნორმები და წესები ცენტრალური გათბობისა და ცხელი წყალმომარაგების ხარჯთაღრიცხვების შესადგენად.

3. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ საიზოლაციო სამუშაოების საჭიროებისათვის ყოველწლიურად დაამზადოს ასბოცემენტის ნაჭუჭები 50.000 პირობითი ფილა წარდგენილი სპეციფიკაციის მიხედვით.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უზრუნველყოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო ლითონის ყალიბებით.

4. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ მიმდინარე წელს დანერგონ არხის გარეშე თბოქსელების მშენებლობა ბიტუმპერლიტის იზოლაციის გამოყენებით.

5. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა „საქმთავარენერგოსთან" ერთად ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადება საუწყებო საქვაბეების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბომეურნეობის სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ.

6. აიკრძალოს სამინისტროებისა და უწყებების მიერ თბომეურნეობის ობიექტების მშენებლობისათვის წილობრივი მონაწილეობის წესით გამოყოფილი სახსრების გამოყენება არაპირდაპირი დანიშნულებით.

7. აეკრძალოს მშენებელ და მემონტაჟე ორგანიზაციებს თბოქსელების არხების გადახურვა თბილისში საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბომეურნეობის სამმართველოს ნებადაურთველად.

8. მაგისტრალური და კვარტალური თბოქსელების მშენებლობის ნებართვა თბილისში მიეცეთ მხოლოდ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, თბილგვირაბმშენს, ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსმშენის ტრესტს, ხოლო ყველა დანარჩენმა უწყებებმა და ორგანიზაციებმა თბოქსელების მშენებლობა განახორციელონ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სპეციალიზებული ორგანიზაციების მეშვეობით.

9. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს განიხილონ თბომეურნეობის საჭიროებისათვის ორმაგი რეგულირების ონკანების რეს-

პუბლიკაში რემონტის და ახლის წარმოების ათვისების საკითხი და თავიანთი წინადადება შემოიტანონ მინისტრთა საბჭოში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 30 ივლისი, № 405

## 69 საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს თანდართული დროებითი დებულება, შეთანხმებული სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 12 აგვისტო, № 424

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 12 აგვისტოს № 424
დადგენილებით

# დროებითი დებულება

## საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 15 დეკემბრის ბრძანებულების საფუძველზე, არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო ხელმძღვანელობას უწევს მისდამი დაქვემდებარებულ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს. იგი პასუხისმგებელია საბჭოთა მეურნეობების განვითარებისათვის, წარმოების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ტექნიკური დონისათვის, წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაფართოების შესაძლებლობათა სრულად გამოყენებისათვის.

2. საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო:

განაგებს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უშუალოდ ან მის მიერ დადგენილი წესით შექმნილი ორგანოების მეშვეობით, გადაწყვეტს ყველა საკითხს დარგების მიხედვით მისთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში და შეუძლია დაავალოს მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

განახორციელებს კონტაქტებს რესპუბლიკის სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან და მათთან საქმიან თანამშრომლობას დარგთშორისი საკითხების შემუშავებასა და გადაწყვეტაში;

განაზოგადებს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მათი სრულყოფის შესახებ და დადგენილი წესით წარუდგენს მათ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

3. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად შეფარდებას თავისი სისტემის დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სასწავლებლებსა და საწარმოებში.

4. საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მთავარი ამოცანებია მემცენარეობისა და მეცხოველეობის მაღალხარისხოვანი პროდუქტების წარმოების ყოველნაირად გადიდება და სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჩაბარების დავალებათა შესრულება, საქვეუწყებო საბჭოთა მეურნეობების გადაქცევა სანიმუშო დიდად რენტაბელურ სოციალისტურ მეურნეობებად.

ამ მიზნით საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მიწების ეფექტიანად და რაციონალურად გამოყენებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებას და პირუტყვის პროდუქტიულობის შემდგომ გადიდებას საბჭოთა მეურნეობებში, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის გადიდებას, მისი თვითღირებულების სისტემატურად შემცირებას, საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ძირეულად გაუმჯობესების გზით საბჭოთა მეურნეობების წარმოების დარგების სწორად შეხამების, ტექნიკის, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში ტექნიკის ინტენსიურად გამოყენების, სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის, შრომის მაღალი ნაყოფიერებისა და მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენების საფუძველზე.

5. საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) გამოავლენს და გამოიყენებს საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში მთელ რეზერვებს, განაზოგადებს მოწინავე გამოცდილებას, პროპაგანდას გაუწევს და წარმოებაში დანერგავს მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას მეურნეობათა ბუნებრივ-ეკონომიური პირობების გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო რაციონალურად გაძღოლის ღონისძიებებს;

ბ) ხელმძღვანელობას გაუწევს საბჭოთა მეურნეობებში მეთესლეობის მოწყობას, სანაშენო და ვეტერინარულ მუშაობას, სასოფლო-სამეურნეო დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას, აგრეთვე განახორციელებს კონტროლს მათდამი;

გ) დანერგავს საბჭოთა მეურნეობების წარმოების დარგების მექანიზაციასა და ელექტროფიკაციას, მიიღებს ზომებს საბჭოთა მეურნეობებში მანქანა-ტრაქტორთა პარკის მაღალმწარმოებლურად გამოყენებისა და მთელი შრომატევადი სამუშაოების კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებისათვის;

დ) უზრუნველყოფს სარემონტო ბაზის დაჩქარებით განვითარებას მანქანა-ტრაქტორთა პარკისათვის საბჭოთა მეურნეობებში და ტრაქტორების, კომბაინების, ავტომობილებისა და სხვა მანქანებისა და მოწყობილობის ექსპლოატაციის, რემონტის, შენახვისა და დაწუნების წესების დაცვას.

ე) მოაწყობს საბჭოთა მეურნეობების და სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვა საწარმოების პროდუქციის გასაღებას;

კ) შეიმუშავებს და განახორციელებს მოწინავე აგროტექნიკურ, ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ ღონისძიებებს, დანერგავს საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმოებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალ ფორმებს;

ზ) ყოველნაირად შეუწყობს ხელს მიწების გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას, უზრუნველყოფს მიწათმოწყობის პროექტების სწორად ათვისებას და საკარმიდამო მიწათსარგებლობის დაცვას საქვეუწყებო საბჭოთა მეურნეობებში;

თ) უზრუნველყოფს მთელი მიწების სწორად და პროდუქტიულად გამოყენებას მიწათმოწყობის პროექტების საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, განსაკუთრებით სახნავი მიწების, მაქსიმალურად შენარჩუნებას შიდასამეურნეო მშენებლობის დროს;

ი) განახორციელებს პროექტების საფუძველზე ნიადაგის დაცვას ეროზიისა და სხვა პროცესებისაგან, რომლებიც იწვევენ მიწების გაფუჭებას ან მათი ნაყოფიერების შემცირებას;

კ) განსაზღვრავს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან ერთად რესპუბლიკაში მიწების მელიორაციის განვითარების ძირითად მიმართულებებს, შეიმუშავებს მასთან ერთად მიწების მორწყვის, გაწყლიერებისა და დაშრობის წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტებს;

ლ) უზრუნველყოფს შიდასამეურნეო სარწყავი, დამშრობი და გასაწყლიერებელი ქსელის და სამელიორაციო ნაგებობათა, აგრეთვე წყალმომარაგებისა და წყალსადენების ობიექტების ექსპლოატაციას მეცხოველეობის ფერმებში და სამომთაბარო მეცხოველეობის საძოვრებზე;

მ) დაგეგმვის დარგში:

— განსაზღვრავს, დამტკიცებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე და აცნობებს საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს და უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს პერსპექტიული და წლიური გეგმების საკონტროლო ციფრებს;

— შეიმუშავებს საკონტროლო ციფრებისა და გეგმების პროექტების საფუძველზე, რომლებსაც წარადგენენ საბჭოთა მეურნეობების ტრესტები და უშუალოდ დაქვემდებარებული, სამინისტროს სისტემაში შემავალი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს;

— განიხილავს საბჭოთა მეურნეობების ტრესტების და უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მონაწილეობით და დაუმტკიცებს მათ მუშაობის პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებების შესაბამისად, ამასთან შეახამებს ამ გეგმების მთელ დანაყოფებსა და მაჩვენებლებს;

ნ) დაფინანსებისა და კრედიტის დარგში:

— შეიმუშავებს საფინანსო გეგმების პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს;

— დააფინანსებს საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს და საწარმოებს სამინისტროსათვის დამტკიცებული საფინანსო გეგმის შესაბამისად, ხელმძღვანელობას გაუწევს მათს საფინანსო საქმიანობას, განახორციელებს კონტროლს საფინანსო რესურსების გამოყენებისადმი;

— მმართველობის აპარატის შესანახი ხარჯების ზღვრულ ლიმიტებს დაუწესებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებს;

— ამოიღებს საბრუნავი სახსრების ნამეტს სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიური ანგარიშების შედეგების მიხედვით მათი გადანაწილების წესით;

— განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, მეურნეობის რენტაბელობის უზრუნველყოფა და ზეგეგმითი დაგროვებების გადიდება საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სისტემაში, შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მისი თვითღირებულების შემცირება, ძირითადი ფონდების, საბრუნავი საშუალებებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანად გამოყენება;

— უზრუნველყოფს თავისი სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ საფინანსო გეგმების შესრულებას, საკუთარი საბრუნავი სახსრების დაცვა-შენახვას, მუშა-მოსამსახურეებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, მიმწოდებლებისა, მოიჯარეებისა და ბანკებისათვის ანგარიშის დროზე გასწორებას, აგრეთვე იმ საკუთარი სახსრების გადარიცხვას საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ, რაც განკუთვნილია კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად და საფინანსო გეგმით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის;

— დადგენილი წესით შექმნის ახალი ტექნიკის ათვისების ფონდებს მათი შექმნისა და დანერგვისათვის დასაჯილდოებლად, სადაზღვეო და სხვა ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საფინანსო დახმარების გასაწევ რეზერვს;

— გახსნის ბანკში საანგარიშსწორებო ანგარიშებს იმისათვის, რომ გადანაწილდეს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოგება, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის შესაქმნელად გათვალისწინებული თანხები და სხვა საშუალებანი, აგრეთვე გახსნის ცალკეულ ანგარიშებს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საფინანსო დახმარების გასაწევი რეზერვის სახსრების და კაპიტალური რემონტის საამორტიზაციო ანარიცხთა რეზერვის სახსრების შესანახად;

ო) კაპიტალური მშენებლობის დარგში;

— უზრუნველყოფს კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულებას, სამუშაოთა მაღალ ხარისხსა და გაიაფებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიიღებს ზომებს, რათა ეფექტიანად იქნეს გამოყენებული კაპიტალური დაბანდებანი, რაციონალურად განლაგდეს ახალი მშენებლობა, პირველ რიგში წარიმართოს კაპიტალური დაბანდებანი მოქმედი საწარმოების ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის, მოხდეს კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაცია ასამუშავებელ ობიექტებზე და შემცირდეს დაუმთავრებელი მშენებლობა;

შეიმუშავებს და დადგენილი წესით დაამტკიცებს მშენებლობებისა და მომავალი წლების მშენებლობის საპროექტო სამუშაოთა სატიტულო სიებს, უზრუნველყოფს საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად შემუშავებას და დადგენილი წესით დამტკიცებას;

— განახორციელებს ტექნიკურ კონტროლს ამ დოკუმენტაციის ხარისხისა და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვისადმი, აგრეთვე ტექნიკურ ზედამხედველობას გაუწევს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა და მიწოდებული მოწყობილობის ხარისხს;

— კონტროლს გაუწევს კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებას, უზრუნველყოფს ძირითადი ფონდების, საწარმოო სიმძლავრეთა დროზე გადაცემას საექსპლოატაციოდ და მათს ათვისებას დაწესებულ ვადებში;

— კონტროლს გაუწევს იმას, ანაწილებენ თუ არა საწარმოები და ორგანიზაციები კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობის შეკვეთებს ამ მიზნისათვის გამოყოფილი ასიგნებების შესაბამისად;

— უზრუნველყოფს სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროზე გადაცემას საექსპლოატაციოდ, საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებას დაწესებულ ვადებში და კონტროლს გაუწევს იმ მშენებლობის მიმდინარეობას, რომელსაც მოიჯარე ორგანიზაციები ახორციელებენ;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში დანიშნავს სახელმწიფო კომისიებს საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა საექსპლოატაციოდ მისაღებად, დაამტკიცებს მიღების აქტებს;

— აწყობს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, აგრეთვე შენობათა და ნაგებობათა ტექნიკური და საექსპლოატაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას; განახორციელებს რემონტის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი გაიაფების ღონისძიებებს;

3) მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში:

— გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“ ერთად განიხილავს საბჭოთა მეურნეობებისა და სამინისტროს სისტემის სხვა ორგანიზაციების მიერ წარდგენილ განაცხადებს ტექნიკასა, მოწყობილობასა, ნედლეულსა, სათბობსა, მინერალურ სასუქებსა და სხვა მასალებზე და განაგებს სამინისტროსათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს;

— განახორციელებს იმისადმი კონტროლს, თუ რამდენად სწორად ინახავენ და იყენებენ სამინისტროს საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ნედლეულს, სათბობს, მოწყობილობას და სხვა მატერიალურ რესურსებსა და ფასეულობებს, მიიღებს ზომებს ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების რეალიზაციისათვის;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ნედლეულის, მასალების, სათბობის მომჭირნეობით ხარჯვა, დანაკარგის შემცირება წარმოებაში, საწარმოო ნარჩენების გამოყენება და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისაკენ;

ქ) კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში:

— უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მუშაკთა კვალიფიციური კადრებით, მოაწყობს კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, შეისწავლის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა კადრებს და შექმნის რეზერვს, რათა ხელმძღვანელ სამუშაოზე დააწინაუროს ახალგაზრდა, ნიჭიერი მუშაკები, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი მუშაობაში, კონტროლს გაუწევს ახალგაზრდა სპეციალისტთა სწორად გამოყენებას და განახორციელებს სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუდმივი კადრების შექმნისათვის საჭირო ღონისძიებებს;

— ხელმძღვანელობას გაუწევს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში; განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესება და გაჯანსაღება, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების მტკიცედ დაცვა;

— შეიმუშავებს და დადგენილი წესით შემოიღებს საწარმოებსა და ორგანიზაციებში გამომუშავების (მომსახურების) ერთიან და ტიპობრივ ნორმებს და მუშაკთა რაოდენობის ნორმატივებს; გარდაქმნის პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად გამომუშავების (მომსახურების) ნორმებს სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში და განახორციელებს შრომის ნორმირების სხვა ღონისძიებებს;

— უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებისა და დაჯილდოების მოქმედი პირობების სწორად გამოყენებას, აგრეთვე სწორ თანაფარდობას შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის; კონტროლს გაუწევს ხელფასის ფონდისა და წახალისებითი ფონდების ხარჯვას;

— დააწესებს და შეცვლის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა თანამდებობრივ სარგოებს, ამასთან დაიცავს თანამდებობრივი სარგოების სქემებს ხელფასის ფონდის ფარგლებში;

— მიიღებს ზომებს მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების დროზე განხილვისათვის, მიაღწევს მათში დაყენებული საკითხების სწორად გადაწყვეტას, აგრეთვე მიიღებს ზომებს სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობაში არსებულ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც მოხსენებულია მშრომელთა წერილებში;

— მოაწყობს და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო აღრიცხვას და ანგარიშგებას სამინისტროს სისტემაში, დაამტკიცებს ტრესტებისა და სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული სხვა ორგანიზაციების, საწარმოების ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს კვარტალურ და წლიურ კრებსითს საბუღალ-

ტრო ანგარიშებს ყველა სახეობის საწარმოო, საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის მიხედვით, განახორციელებს საფინანსო კონტროლს და მოაწყობს დოკუმენტურ რევიზიებს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სისტემაში;

6. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, დანიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და შემდგომ წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მინისტრი გაანაწილებს მოვალეობებს თავის მოადგილეებს შორის.

7. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროს ამოცანათა და ვალდებულებათა შესრულებისათვის, იგი დააწესებს მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს მთავარი სამმართველოების, სამმართველოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სამინისტროს სისტემის საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისათვის.

8. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი:

— ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროს, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობას;

— დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკებს დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად შეიტანს შესაბამისი კანონების, დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტებს;

— სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებს, ინსტრუქციებს და გასცემს სამინისტროს სისტემის საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს და შეამოწმებს მათ შესრულებას;

— საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

— გააუქმებს საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ ბრძანებებს, განკარგულებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

— დაამტკიცებს დებულებას სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ;

შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს დადგენილი წესით სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, აგრეთვე დაამტკიცებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების. ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დებულებებსა და წესდებებს;

— დადგენილი წესით გადაწყვეტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შენობების, ნაგებობების, ქონებისა და ფასეულობების მიღება-გადაცემას ბალანსიდან ბალანსზე ან ღირებულების გადახდით;

— დადგენილი წესით მოიწვევს თათბირებს, რათა განიხილოს მოხსენებანი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა შესახებ, საბჭოთა მეურნეობების განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები, აგრეთვე სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები;

9. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს საბჭოთა მეურნეობების განვითარების საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის, საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების სხვა საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებების, განკარგულებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს სამინისტროს სისტემის სტრუქტურული ქვედანაყოფების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი განხორციელდება მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს შეუძლიათ თავის მხრივ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროში შეიქმნება არბიტრაჟი სამინისტროს სისტემის საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილი სამეურნეო დავის განსახილველად. არბიტრაჟს უფლება ენიჭება გამოსცეს ბრძანებები, რომლებიც სავალდებულოდ ხდიან მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებითი წესით შესრულებას.

არბიტრაჟის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა სტრუქტურას და რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

12. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო არის სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანიზაცია და მისი შენახვა ხდება იმ თანხების ხარჯზე, რაც გადაირიცხება საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის რეალიზაციიდან ზემდგომი რგოლების შესანახად.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შეუძლია სამინისტროს სამმართველოები და განყოფილებები გადაიყვანოს სამეურნეო ანგარიშზე.

13. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

## 70 საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს დებულების პროექტი, შემუშავებული იმ სანიმუშო დებულების საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 ივლისის № 392 დადგენილებით.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა დაამტკიცონ შესაბამისი დებულებანი, თანახმად სანიმუშო დებულებებისა ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქისა და რაიონის კოლმეურნეობათა საბჭოების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი შ. მებრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 16 აგვისტო, № 439

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულია
საქართველოს სსრ
კოლმეურნეობათა საბჭოს მიერ
1971 წლის 28 ივლისს

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წ. 16 აგვისტოს № 439
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს შესახებ

1. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო არის კოლმეურნეობათა რესპუბლიკური არჩევითი საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც შექმნილია საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარების, კოლმეურნეობათა ცხოვრებისა და საქმიანობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხების კოლექტიურად განხილვის, წარმოების ორგანიზაციის გამოცდილების განზოგადებისა და საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს ამოცანაა კოლმეურნეობათა ყოველმხრივი განმტკიცება და კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელება.

2. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით, კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო და საქართველოს სსრ ყრილობების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენლების სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური კრებების დადგენილებებით, კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს დადგენილებებით, კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებით და ამ დებულებით.

3. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოში აირჩევიან კოლმეურნეობათა გამოცდილი თავმჯდომარეები, საკოლმეურნეო წარმოების მოწინავეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერები, საქართველოს სსრ იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რომლებიც დაკავშირებული არიან კოლმეურნეობათა საქმიანობასთან.

4. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო:

განიხილავს კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების დაცვისა და კოლმეურნეობებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;

განაზოგადებს კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მეურნეობის ეფექტიანად გაძღოლის, რეზერვების მაქსიმალურად გამოყენების, კოლმეურნეობებისათვის მიჩენილი მიწების რაციონალურად გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოყენების, მათი დაცვის, ნიადაგის ნაყოფიერების ყოველნაირად ამაღლების, მიწების მელიორაციის, ქიმიზაციის და საკოლმეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის შესახებ, ხელს შეუწყობს წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას;

განიხილავს კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის შედეგებს, შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს მათი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ;

განაზოგადებს გამოცდილებას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს კოლმეურნეობებში და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოების მართვის, დაგეგმვის, შიდასამეურნეო ანგარიშის, შრომის ორგანიზაციის, ანაზღაურებისა და დაცვის გაუმჯობესების შესახებ;

შეიმუშავებს წინადადებებს საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო კავშირ-ურთიერთობის შემდგომი გაფართოების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღებისა და გადამუშავების გაუმჯობესების, კოლმეურნეობებში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარების შესახებ.

შეიმუშავებს წინადადებებს კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების, სპეციალისტების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გაუმჯობესების, შრომითი რესურსების უფრო სრულად გამოყენების, კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ;

წარმართავს და კოორდინაციას უწევს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რაიონების (ქალაქების) კოლმეურნეობათა საბჭოების საქმიანობას, განაზოგადებს ამ საბჭოების მუშაობის გამოცდილებას, განიხილავს მათს წინადადებებს და გაუწევს საჭირო დახმარებას.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო განიხილავს საკოლმეურნეო ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც, შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებსა და რეკომენდაციებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა ორგანიზაციებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს.

5. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო 5 წელიწადში ერთხელ მოიწვევს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რაიონების (ქალაქების) კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენლთა რესპუბლიკურ კრებას და საჭიროების შემთხვევაში — კოლმეურნეთა რესპუბლიკურ ყრილობას. კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენლების რიგგარეშე რესპუბლიკური კრებები შეიძლება მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს ინიციატივით ან აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რაიონების (ქალაქების) კოლმეურნეობათა საბჭოების ერთი მესამედის მოთხოვნით, აგრეთვე კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს წინადადებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კოლმეურნეთა ყრილობებსა და კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენლების კრებებზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო.

6. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო აირჩევა ღია კენჭისყრით აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რაიონების (ქალაქების) კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენლების რესპუბლიკურ კრებაზე ან საქართველოს სსრ კოლმეურნეთა ყრილობაზე 5 წლის ვადით.

კოლმეურნეთა რესპუბლიკურ ყრილობებსა და კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენლების რესპუბლიკურ კრებებს შორის პერიოდში საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს შეუძლია, გამონაკლისის სახით, შეიყვანოს თავის შემადგენლობაში ახალი წევრები, რომლებიც შემდგომ დამტკიცებულ უნდა იქნენ კოლმეურნეთა რესპუბლიკურ ყრილობაზე ან კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენლების რესპუბლიკურ კრებაზე.

7. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო თავის შემადგენლობიდან აირჩევს საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც ამავე დროს არის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აირჩევს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს, აგრეთვე დაამტკიცებს საბჭოს პასუხისმგებელ მდივანს.

8. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო საკითხების შესწავლისა და საბჭოს სხდომისათვის მათი კვალიფიციური მომზადების მიზნით, შექმნის შესაბამის სექციებს.

9. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს მის მიერ დამტკიცებული გეგმით და გამართავს სხდომებს სამჯერ მაინც წელიწადში. საბჭოს რიგგარეშე სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ან საბჭოს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით, აგრეთვე კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს წინადადებით.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს და საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მათ ესწრება წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს და პრეზიდიუმის დადგენილებები მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

10. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმი:

განახორციელებს საბჭოს მთელ ორგანიზაციულ საქმიანობას საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში;

შეადგენს საბჭოს მუშაობის გეგმების პროექტებს, განიხილავს მასალებს საბჭოს სხდომებისათვის, მისცემს დასკვნებს საქართველოს სსრ ნორმატიული აქტების პროექტებზე, რომლებიც შეეხება კოლმეურნეობების ინტერესებს;

მოისმენს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რაიონების (ქალაქების) კოლმეურნეობათა საბჭოების საქმიანობის ანგარიშებს;

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს აგრეთვე რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის

ავტონომიური ოლქის და რაიონების (ქალაქების) კოლმეურნეობათა საბჭოების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებს მოიწვევს საბჭოს თავმჯდომარე საჭიროების მიხედვით, მაგრამ ერთხელ მაინც კვარტალში.

11. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას — თავმჯდომარის მოადგილე, წარმართავს საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის მუშაობას და უზრუნველყოფს მათი დადგენილებების შესრულებას.

12. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი მოაწყობს სექციების მუშაობას და უზრუნველყოფს საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებისათვის მასალების მომზადებას, პასუხს აგებს საქმისწარმოებისათვის საბჭოში, მოამზადებს პასუხებსა და განმარტებებს წერილებსა და შეკითხვებზე, აგრეთვე შეასრულებს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

13. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭო თავის საქმიანობაში უზრუნველყოფს კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების უფლებების დაცვას, რაც გათვალისწინებულია მათი წესდებებით, დებულებებითა და მოქმედი კანონმდებლობით, ყოველმხრივ შეუწყობს ხელს მათი სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის განვითარებას.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს დადგენილებებს კოლმეურნეობებისათვის და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.

14. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხდომებისათვის მასალების მომზადებას, აგრეთვე მათ ტექნიკურ და სამეურნეო მომსახურებას ახორციელებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი.

15. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს აქვს ბეჭედი და შტამპი თავისი სახელწოდებით.

## 71 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, — შემდეგი პუნქტი:

„128. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ბაკურიანის ნადირთმოსაშენებელი საბჭოთა მეურნეობის საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 16 აგვისტო, № 440

## 72 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 თებერვლის № 90 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 თებერვლის № 90 დადგენილების № 2 დანართის პურეული პროდუქტების მიმღები პუნქტების ნუსხას, რომლებიც სპეციალიზებული უნდა იქნენ მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის დამზადებაზე, დამუშავებასა და შენახვაზე, წითელწყაროს პურეული პროდუქტების ბაზა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს უახლოეს დღეებში მოაწყოს წითელწყაროს პურეული პროდუქტების ბაზაში თესლის მექანიზებული საწმენდ-სახარისხებელი საამქრო და დააკომპლექტოს იგი თანამედროვე მანქანა-იარაღებითა და აგრეგატებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 16 აგვისტო, № 441

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 73 საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელი და სამოქალაქო შენობებისა და ნაგებობების მშენებლობისადმი შეკვეთის (მენაშენის) ტექნიკური ზედამხედველობის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახმშენის მიერ წარმოდგენილი თანდართული დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისადმი შემკვეთის (მენაშენის) ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ.

2. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც მშენებლობას ახორციელებენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მტკიცედ იხელმძღვანელონ აღნიშნული დებულებით.

3. დაეკისროთ საქართველოს სსრ სახმშენს და მის ადგილობრივ ორგანოებს კონტროლი გაუწიონ დამტკიცებული დებულების დაცვას და იმ პირთა რეგისტრაციას, რომლებიც ახორციელებენ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელი და სამოქალაქო ობიექტების მშენებლობის ტექნიკურ ზედამხედველობას.

4. აეკრძალოთ სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორებს შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ანაზღაურება მენაშენის იმ წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი საბუთებით (სამუშაოთა მიღების აქტებით), რომლებიც დადგენილი წესით არ არიან რეგისტრირებული სახმშენისა და ფინანსთა სამინისტროს ორგანოებში.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 25 ივლისის № 386 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 20 აგვისტო, № 448

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 20 აგვისტოს № 448
დადგენილების დანართი

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისადმი შემკვეთის (მენაშენის) ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისადმი შემკვეთის (მენაშენის) ტექნიკური ზედამხედველობა დაწესდება იმ მიზნით, რომ სისტემატური და ყოველდღიური კონტროლი გაეწიოს იმას, თუ რამდენად შეესაბამება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა, ღირებულება და ხარისხი დამტკიცებულ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს სამშენებლო ნორმების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებისა და მიღების წესებისა და ტექნიკური პირობების დაცვას, გამოყენებული მასალების, დეტალებისა და კონსტრუქციების ხარისხს სახელმწიფო სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს, აგრეთვე სამშენებლო სამუშაოების შესრულებას და საქვეკონტროლო ობიექტების გადაცემას საექსპლოატაციოდ დაწესებულ ვადებში. ამასთან ტექნიკური ზედამხედველობა არ უნდა ჩაერიოს მოიჯარის ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობაში.

2. სამინისტროები და უწყებები, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე შემკვეთი (მენაშენე) საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი არიან ტექნიკური ზედამხედველობა გაუწიონ შენობათა და ნაგებობათა მშენებლობას ან რეკონსტრუქციას ობიექტის მშენებლობის მთელი პერიოდის მანძილზე, მისი ღირებულების მიუხედავად.

3. ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკები შედიან სამინისტროების, უწყებების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების კაპიტალური მშენებლობის სამმართველოების (განყოფილებების) და ცალკეული მშენებარე ან მოქმედი საწარმოებისა და დაწესებულებების განყოფილებების შემადგენლობაში.

როდესაც სამშენებლო სამუშაოები სამეურნეო წესით წარმოებს, ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს უშუალოდ მშენებარე ორგანიზაციის აპარატი.

4. მუშაკი, რომელიც ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს, არის შემკვეთის (მენაშენის) წარმომადგენელი მშენებლობაზე და ასრულებს თავის ფუნქციებს ამ დებულების შესაბამისად.

5. მშენებლობისადმი ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მშენებელი ინჟინერი ან არქიტექტორი, რომელსაც აქვს უმაღლესი სპეციალური განათლება და საწარმოო სტაჟი მშენებლობის

დარგში არანაკლებ სამი წლისა ან დამთავრებული საშუალო სპეციალური განათლების მქონე ტექნიკოსი, რომელსაც აქვს საწარმოო სტაჟი მშენებლობის დარგში არანაკლებ ხუთი წლისა.

ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკებს, რომლებიც კონტროლს უწევენ მშენებლობას სეისმურ რაიონებში, უნდა ჰქონდეთ მოწმობა სეისმური მშენებლობის სპეციალური კურსების დამთავრების შესახებ.

6. ის პირები, რომლებიც ახორციელებენ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელ, სამოქალაქო შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკურ ზედამხედველობას, დაინიშნებიან შემკვეთის (მენაშენის) სპეციალური ბრძანებით, გატარდებიან რეგისტრაციაში სახმშენის ორგანოებსა და საფინანსო ორგანოებში დადგენილი წესით.

7. შემკვეთის (მენაშენის) ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკები წარმოადგენენ საწარმოო პერსონალს (მათი რაოდენობა განისაზღვრება შრომის გეგმით), მათი შენახვა წარმოებს მშენებლობის კრებსითი ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებულ ანარიცხთა ხარჯზე. იმ შემთხვევებში, როდესაც მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატება 50 ათას მანეთს, სამინისტროს და უწყებას ნება ეძლევა მიანდოს ეს ზედამხედველობა საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს სახმშენთან შეუთანხმებლად, ხოლო როდესაც სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება აღემატება 50 ათას მანეთს და აღწევს 200 ათას მანეთს, სამინისტროებსა და უწყებებს შეუძლიათ მიანდონ ტექნიკური ზედამხედველობა საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საკითხს შეათანხმებენ საქართველოს სსრ სახმშენთან.

8. ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკებს ეკრძალებათ თანამდებობის დაკავება შეთავსებით იმ საიჯარო სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებში, რომლებიც ასრულებენ სამუშაოებს საქვეკონტროლო მშენებლობისათვის, და მათი ცალკეული დავალებების შესრულება.

9. საქართველოს სსრ სახმშენის ორგანოების მითითებანი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისა და მათი ხარისხის საკითხებზე სავალდებულოა ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკებისათვის.

10. საქვეკონტროლო ობიექტზე ტექნიკური ზედამხედველობის მუშაობა მთავრდება საექსპლოატაციოდ მისი გადაცემის ყველა საკითხის გადაწყვეტის შემდეგ და არა უადრეს ერთი თვისა ობიექტის საექსპლოატაციოდ ფაქტიური გადაცემის შემდეგ.

## II. ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკთა მოვალეობანი

ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკები მოვალენი არიან:

1. იხელმძღვანელონ თავის საქმიანობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოქმედი დადგენილებებით მშენებლობის დარგში, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით და ხელი შეუწყონ საქვეკონტროლო ობიექტების მშენებლობის გეგმის შესრულებას და მათ გა-

დაცემას საექსპლოატაციოდ დაწესებულ ვადებში, აგრეთვე აქტიური მონაწილეობა მიიღონ ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც შეეხება ობიექტების უზრუნველყოფას შემკვეთის (მენაშენის) მიერ მიწოდებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

2. არ დაუშვან კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვა, მიიღონ ზომები ვადაზე დაუმთავრებელი მშენებლობის და მისი ღირებულების შესამცირებლად.

3. შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ საპროექტო ორგანიზაციები იმ ობიექტებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობებს, რომელთა მშენებლობის ხანგრძლივობა ერთ წელიწადზე მეტია, მიიღონ ეს დოკუმენტაცია, შეამოწმონ მისი სისრულე და ხარისხი.

4. თუ არსებობს დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში გაატარონ მშენებლობა საქართველოს სსრ სახმშენის ორგანოებში და გააფორმონ ნებართვა მოსამზადებელი და ძირითადი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების შესახებ, აგრეთვე ყოველწლიურად ხელახლა გაატარონ რეგისტრაციაში გარდამავალი მშენებლობა.

5. გადასცენ მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციას დამტკიცებული და რეგისტრაციაში გატარებული ტექნიკური დოკუმენტაცია მშენებლობის საიჯარო ხელშეკრულებებით დადგენილი წესი, ამასთან თითოეულ ნახაზს უნდა გაუკეთდეს წარწერა, რომ სამუშაოები მიღებულია შესასრულებლად, აგრეთვე გადასცენ სახმშენის ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა; თვალყური ადევნონ იმას, რომ ეს დოკუმენტები მუდმივად ინახებოდეს სამშენებლო მოედანზე, რათა წარედგინოს ისინი მაკონტროლებელ ორგანოებს.

6. გააფორმონ (ნატურით) მიწის ნაკვეთის გამოყოფა მშენებლობისათვის და გადასცენ დოკუმენტაცია სამშენებლო ორგანიზაციას აქტით; კონტროლი გაუწიონ შენობათა და ნაგებობათა ძირითადი ღერძების დასაყრდენი რეპერების განაწილებას და დამაგრებას ნაკვეთზე; მონაწილეობა მიიღონ შენობათა და ნაგებობათა ღერძების დეტალური განაწილების, აგრეთვე ფუძეების, საძირკვლებისა და გადახურვების ვერტიკალური ნიშნების შემოწმებასა და მიღებაში, ამასთან გააფორმონ მიღება აქტებით.

7. დროზე უზრუნველყონ იურიდიული და ტექნიკური დოკუმენტაციის გაფორმება შენობების ასაღებად და არსებული მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციების გადასატანად.

8. დროზე გააფორმონ ობიექტების მიერთება წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების და გაზმომარაგების, ჩამდინარე წყლების ჩაშვების ქსელებთან, სატელეფონო, სატელევიზიო და რადიოქსელებთან, როგორც მშენებლობის დროს, ისე შენობათა ექსპლოატაციის პერიოდშიც, აგრეთვე შეათანხმონ სათანადო ორგანიზაციებთან მოწყობილობის დაყენებასთან, გამოცდასთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები.

9. განახორციელონ ტექნიკური ზედამხედველობა მთელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დროზე და ხარისხიანად შესრულებისა და იმისადმი, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი დამტკიცებულ საპროექტო-სახარჯთაღრი-

პარლამენტის ბიბლიოთეკა

ცხვო დოკუმენტაციას, სამშენებლო ნორმების, ზამთარში შესასრულებელ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისა და მიღების წესებისა და ტექნიკური პირობების, ხოლო სეისმურ რაიონებში სეისმური რაიონების მშენებლობის ნორმებისა და წესების ზუსტად დაცვისადმი.

10. შეამოწმონ არის თუ არა მშენებლობაზე გამოსაყენებელი მასალების, დეტალებისა და კონსტრუქციების ლაბორატორიული ანალიზებისა და ცდების შედეგების პასპორტები; მოსთხოვონ მოიჯარეს, რომ პერიოდულად შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება საშენი მასალების, დეტალებისა და კონსტრუქციების ხარისხი პასპორტის მონაცემებს. მონაწილეობა მიიღონ ნიმუშების შერჩევაში და თვალყური ადევნონ ლაბორატორიული ცდების შედეგების მიღებას.

11. გააფორმონ აქტებით ისეთი ცუდი ხარისხის საშენი მასალების, დეტალების, კონსტრუქციებისა და მოწყობილობის შეტანა სამშენებლო მოედანზე, რომლებიც აძვირებენ მშენებლობას და ვერ აკმაყოფილებენ სახელმწიფო სტანდარტებს, ინდუსტრიულ სამშენებლო ნაკეთობათა ტექნიკურ პირობებს, კატალოგებს, და აკრძალონ მათი გამოყენება.

12. მონაწილეობა მიიღონ ფარულ და სპეციალურ სამუშაოთა შემოწმებასა და აქტებით გაფორმებაში, ამასთან არ დაუშვან შემდგომი სახეობის სამუშაოთა შესრულება აქტების ხელმოწერამდე.

ფარულ სამუშაოთა აქტები უნდა შედგეს მათი დამთავრებისთანავე, თუ მშენებლობის შემდგომ მსვლელობაში ამ სახეობის სამუშაოები ან კონსტრუქციები უნდა დაიფაროს.

მსხვილპანელიანი მშენებლობის დროს ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკები, სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, მოვალენი არიან მიიღონ სამუშაოები სართულების მიხედვით, შეადგინონ აქტები ასაწყობი კონსტრუქციების ელემენტების სწორად დაყენების, საყრდენ სიბრტყეებთან და ერთმანეთთან მიერთების სიმკვრივის, ნაკერების ამოვსების, შედუღებითი შენაერთების, ანტიკოროზიული დაცვის და სხვათა ხარისხის შესახებ.

13. განსაზღვრონ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და მიიღონ ისინი მოიჯარისაგან იმ პირობით, თუ შესრულების ხარისხი შეესაბამება დამტკიცებულ პროექტებსა და ტექნიკურ პირობებს, აგრეთვე გააფორმონ აქტები ამ სამუშაოთა ასანაზღაურებლად.

14. კონტროლი გაუწიონ სამუშაოთა საერთო და სპეციალური ჟურნალების დროულად და სწორად შევსებას, აგრეთვე იმას — დროზეა თუ არა ფიქსირებული სამუშაო ნახაზების ცალკეულ კომპლექტზე მონაცემები მშენებლობის პროცესში შეტანილ ცვლილებათა შესახებ.

მშენებლობისადმი ტექნიკური ზედამხედველობის შედეგები უნდა ჩაიწეროს სამუშაოთა ჟურნალში ან აქტებში, რომლებშიაც უნდა იყოს ნაჩვენები:

პროექტისაგან გადახრები, ტექნიკური პირობების დეფექტები და დარღვევები, რაც დაშვებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დროს, და მათ დაშვებაში დამნაშავე პირები;

გამოვლინებული დეფექტების აღმოფხვრისაკენ მიმართული კონკრეტული მოთხოვნები, პროექტიდან გადახრები და ტექნიკური პირობების დარღვევები, მათი აღმოფხვრის ვადების აღნიშვნით.

ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკებმა თვალყური უნდა ადევნონ იმას, რომ დროზე შესრულდეს მთელი ის მოთხოვნები და მითითებები, რომლებიც სამუშაოთა ჟურნალში ჩასწერეს ტექნიკურმა და საავტორო ზედამხედველობამ და მაკონტროლებელი ორგანოების სხვა წარმომადგენლებმა.

15. თვალყური ადევნონ საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას და საჭირო შემთხვევებში წარადგინონ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სანქციები.

16. მონაწილეობა მიიღონ ტექნიკური კომისიის მუშაობაში, როდესაც მენაშენე მოიჯარე ორგანიზაციისაგან ღებულობს შენობებს, ნაგებობებსა და დამთავრებულ სამუშაოებს; შეადგინონ გამოვლინებული ნაკლოვანებებისა და დეფექტების ნუსხა, დააწესონ მათი აღმოფხვრის ვადები, შემდგომ მოახდინონ ობიექტის განმეორებით მიღება; არ დაუშვან ისეთი ობიექტების მიღება მოიჯარისაგან, რომელთა მშენებლობა არ დამთავრებულა.

17. მოიჯარესთან ერთად მოამზადონ ტექნიკური დოკუმენტაცია, რათა სახელმწიფო მიმღებ კომისიას წარედგინოს ობიექტი, რომლის მშენებლობა დამთავრებულია.

18. მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო მიმღები კომისიის მიერ ობიექტის მიღებაში, გააცნონ კომისიის წევრებს ტექნიკური დოკუმენტაცია და მენაშენის ტექნიკური კომისიის მიერ ობიექტის მიღების აქტი.

19. არ დაუშვან ისეთი ობიექტების გადაცემა საექსპლოატაციოდ ნაწილობრივ ან მთლიანად, რომლებიც სახელმწიფო მიმღებ კომისიას არ მიუღია.

სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელი, სამოქალაქო შენობის ან ნაგებობის საექსპლოატაციოდ თვითნებურად გადაცემის აღმოჩენის შემთხვევაში, ტექნიკური ზედამხედველობა მოვალეა მოიჯარე ორგანიზაციასთან ერთად შეადგინოს აქტი, სადაც აღნიშნოს დრო, ვითარება და იმ თანამდებობის პირთა ვინაობა, რომლებმაც დაუშვეს ობიექტის თვითნებურად გადაცემა საექსპლოატაციოდ, გაუგზავნოს აქტი მენაშენის ზემდგომ ორგანიზაციას, საქართველოს სსრ სახმშენს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომს (საქვეკონტროლო ობიექტების მიხედვით) სათანადო ზომების მისაღებად.

20. აცნობონ საქართველოს სსრ სახმშენის ორგანოებს ობიექტების მშენებლობის კონსერვაციის, მათი განკონსერვირებისა და მოიჯარე ორგანიზაციის შეცვლის შემთხვევები.

21. მონაწილეობა მიიღონ სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად შესრულებულ სამუშაოთა ყოველწლიურ ინვენტარიზაციაში.

22. გადასცენ ორგანიზაციას, რომელმაც ობიექტი მიიღო საექსპლოატაციოდ, მშენებლობის პროცესში შედგენილი მთელი დოკუმენტაცია, ფარულ სამუშაოთა აქტები, საინჟინრო კომუნიკაციებისა და სხვა ობიექტების მიღების აქტები, აგრეთვე შემკვეთის (მენაშენის) ტექნიკური კომისიის მიერ ობიექტის მიღების აქტი.

### III. ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკთა უფლებები

ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკებს უფლება აქვთ:

1. მოსთხოვონ სამშენებლო ორგანიზაციას სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების შესრულება დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაციის სრული შესაბამისობით, სამშენებლო ნორმების, სამუშაოთა წარმოებისა და მიღების წესებისა და ტექნიკური პირობების ზუსტად დაცვა; აუკრძალონ სამშენებლო ორგანიზაციას ისეთი საშენი მასალების, ნაკეთობების, დეტალებისა და კონსტრუქციების მიღება, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სახელმწიფო სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს.

2. შეიტანონ მშენებარე ობიექტის სამუშაოთა ჟურნალში სამშენებლო ორგანიზაციისათვის სავალდებულო მოთხოვნები და მითითებანი მშენებლობის, გამოყენებული მასალების, დეტალებისა და კონსტრუქციების ხარისხის შესახებ, აგრეთვე დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაციისაგან გადახვევები, რომლებიც სამშენებლო ორგანიზაციამ დაუშვა.

3. არ მიიღონ ასანაზღაურებლად ისეთი სამუშაოები, რომელთა შესრულების დროს დარღვეულია დამტკიცებული პროექტი, სამშენებლო ნორმები და წესები, ტექნიკური პირობები, აგრეთვე ისეთი სამუშაოები, რაც შესრულებულია ცუდი ხარისხის მასალების, ნაკეთობების, დეტალებისა და კონსტრუქციების გამოყენებით, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სახელმწიფო სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს; მოითხოვონ აღმოჩენილი დეფექტების დაუყოვნებლივ აღმოფხვრა დამნაშავე ორგანიზაციის ხარჯზე.

4. მშენებლობის პროცესში მყოფი შენობის ან ნაგებობის დეფორმაციის ან კონსტრუქციების დანგრევის საფრთხის ნიშნების წარმოშობისთანავე შეაჩერონ მშენებლობა და მოსთხოვონ სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციას დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ავარიის თავიდან აცილებისათვის, მაშინვე აცნობონ ეს საქართველოს სსრ სახმშენს, მენაშენის ორგანიზაციისა და დამფინანსებელი ბანკის ხელმძღვანელობას.

### IV. ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკთა პასუხისმგებლობა

ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა:

სამშენებლო ორგანიზაციისაგან ისეთი სამუშაოების მიღებისათვის, რომელთა შესრულების დროს დარღვეულია დამტკიცებული პროექტი, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებისა და მიღების ტექნიკური პირობები და ზამთრის პირობებში, სეისმურ რაიონებსა და დაჯდომად გრუნტიან რაიონებში სამშენებლო სამუშაოთა წარმოების წესები;

ფარული სამუშაოების შესახებ ისეთი აქტების შედგენისათვის, რომლებიც სინამდვილეს არ შეესაბამებიან, მსხვილპანელიანი მშენებლობის ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების სართულებრივი მიღებისა და საქვეკონტროლო მშენებლობის სხვა დოკუმენტების შედგენისათვის;

სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოთა, აგრეთვე პროექტისა და ტექნიკური პირობებისაგან გადახრით შესრულებული

სამუშაოების გადიდებული მოცულობისა და ღირებულების გაფორმებისათვის გასანაღდებლად.

იმ შემთხვევაში, თუ არაკეთილსინდისიერად და არაობიექტურად მოეკიდა თავის მოვალეობათა შესრულებას, აგრეთვე მიიღო და გაანაღდა არადამაკმაყოფილებლად შესრულებული და შეუსრულებელი სამუშაოები, ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკი შეიძლება გადაყვანილ იქნეს სამუშაოდან ზემდგომი ინსტანციის მიერ ან საქართველოს სსრ სახმშენის მოთხოვნით და მიცემული ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. ᲛᲔᲑᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

## 74 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი დებულებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. ᲛᲔᲑᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ქ. თბილისი, 1971 წ. 23 აგვისტო, № 450

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 23 აგვისტოს № 450
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ფასწარმოქმნის განხორციელებას და უზრუნველყოფს ფასების პოლიტიკის ერთიანობას რესპუბლიკაში და ახორციელებს კონტროლს ამ დარგში სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი პასუხისმგებელია ფასების დარგში პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის განხორციელებისათვის, რესპუბლიკაში ფასების ხაზით მუშაობის ორგანიზაციისა და მდგომარეობისათვის, აგრეთვე იმ ფასებისა და ტარიფების დასაბუთებულობისათვის, რომლებსაც იგი ამტკიცებს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ამოცანებია:

ფასების ერთიანი პოლიტიკის განხორციელება;

იმ საბითუმო, საცალო და შესასყიდი ფასების და ტვირთზიდვისა და მომსახურების ტარიფების სრულყოფა, რომლებიც რესპუბლიკაში მტკიცდება, აგრეთვე ფასწარმოქმნის მეთოდების გაუმჯობესება, შრომის საზოგადოებრივად საჭირო დანახარჯების უფრო ზუსტად ასახვა ფასებში, ტექნიკურ პროგრესზე, პროდუქციის ხარისხის, საიმედოობის ამაღლებასა და მისი ასორტიმენტის განახლებაზე, აგრეთვე სახალხო მეურნეობაში წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებზე ფასების ზეგავლენის გაძლიერება.

შესასყიდ, საბითუმო და საცალო ფასებს შორის, აგრეთვე რესპუბლიკის მეურნეობაში ფასებსა და ტარიფებს შორის მოქმედი თანაფარდობის ანალიზი და საჭირო წინადადებათა შემუშავება ამ საკითხებზე;

ფასწარმოქმნის პრაქტიკაში გეგმაზომიერების, ფასებისა და ტარიფების საჭირო სტაბილობის უზრუნველყოფა, რესპუბლიკაში დამტკიცებული ფასებისა და ტარიფების დროზე გადასინჯვა ცალკეული სახეობის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის და მომსახურების გაწევის პირობების შეცვლის კვალობაზე, ერთგვაროვანი პროდუქციის ფასების დაუსაბუთებელი სიმრავლისა და ერთგვაროვანი ნაკეთობებისა და მომსახურების ფასებში არსებული სხვაობის აღმოფხვრა;

სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება ფასებისა და ტარიფების დაწესებისა და გამოყენების დარგში, ფასებისა და ტარიფების დაცვისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის ეფექტიანობის ამაღლება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ფასებისა და ტარიფების დაწესებისა და გამოყენებისადმი მეთოდური ხელმძღვანელობა, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ფასების განყოფილებების მუშაობის კოორდინაცია ფასწარმოქმნისა და ამ დარგში სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი კონტროლის საკითხებზე.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეისწავლის და განაზოგადებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ფასებისა და ტარიფების დაწესების პრაქტიკას, შეიმუშავებს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, ფინანსთა სამინისტროსთან ერთად და რესპუბლიკის სხვა სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს წარუდგენს წინადადებებს საბითუმო, საცალო და შესასყიდი ფასების სრულყოფის შესახებ, აგრეთვე ფასებისა და ტარიფების შეცვლისა და სრულყოფის პერსპექტიული გეგმების პროექტებს.

წინადადებანი საქონლის საცალო ფასებისა და მოსახლეობისათვის გასაწევი მომსახურების ტარიფების სრულყოფის შესახებ და მათი შეცვლის პერსპექტიული გეგმების პროექტები შემუშავდება პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოების მონაწილეობით;

ბ) მისთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში დაამტკიცებს საბითუმო, საცალო და შესასყიდ ფასებს, ელექტროენერგიისა და თბოენერგიის, ტვირთზიდვისა და იმ სხვა მომსახურების ტარიფებს, რასაც სახალხო მეურნეობასა და მოსახლეობას უწევენ;

გ) დადგენილი წესით გადასინჯავს მის მიერ დამტკიცებულ ფასებსა და ტარიფებს ცალკეული სახეობის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის და მომსახურების გაწევის პირობების შეცვლის კვალობაზე;

დ) შეიმუშავებს სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის მითითებების შესაბამისად და დაამტკიცებს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისათვის, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის სავალდებულო მეთოდურ და საინსტრუქციო მითითებებს იმ ფასებისა და ტარიფების დაწესების (გადასინჯვის) და გამოყენების საკითხებზე, რომელთა დამტკიცება კომიტეტის კომპეტენციაში შედის, აგრეთვე შეიმუშავებს მათ დასაწესებლად საჭირო ნორმატივებს;

ე) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ფასების განყოფილებების საქმიანობის კოორდინაციას ფასებისა და ტარიფების დაწესებისა და გამოყენების, აგრეთვე ფასებისა და ტარიფების დაცვისადმი კონტროლის საკითხებზე;

ვ) შეიმუშავებს და განახორციელებს სამინისტროებთან, უწყებებთან, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ფასებისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის ეფექტიანობის ამაღლება, შეამოწმებს ფასებისადმი უწყებრივი კონტროლის დაყენებას და იმას, თუ რამდენად სწორად აწესებენ და იყენებენ ფასებს, ტარიფებს, ფასნამატს და ფასდაკლებას საქართველოს სსრ სამინისტროები, უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოები და ორგანიზაციები, გააანალიზებს ამ დარგში გამოვლინებულ დარღვევათა მიზეზებს და შესაბამის ორგანოებთან ერთად მიიღებს ზომებს მათი აღმოფხვრისათვის;

ზ) ფასებისა და ტარიფების დადგენის დარგში ოპერატიულობისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების, აგრეთვე მათი გამოყენების ანალიზის მიზნით, დანერგავს ფასწარმოქმნის პრაქტიკაში მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდიკას, აგრეთვე მათემატიკურ მეთოდებსა და ელექტრონულ-გამოთვლითს ტექნიკას;

თ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფასებისა და ტარიფების დამტკიცების ვადების შემცირებას;

ი) გამოსცემს კომიტეტის მიერ დამტკიცებულ პრეისკურანტებს, აგრეთვე დადგენილი წესით — ფასებისა და ტარიფების ბიულეტენებს, ცნობარებს, მეთოდურ და სხვა მასალებს ფასწარმოქმნის საკითხებზე, დაადგენს იმის წესს, რომ თავის დროზე დაეგზავნოს ყოველივე ეს სამინისტროებს, უწყებებს, ორგანიზაციებს, საწარმოებს და უზრუნველყოფს მათ ამ მასალებით საჭირო რაოდენობით.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს უფლება ენიჭება:

ა) აძლიოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებს მითითებანი იმის შესახებ, რომ დადგენილი წესის შესაბამისად გადასინჯონ პროდუქციისა და მომსახურების მათ მიერ დამტკიცებული ფასები და ტარიფები, რომელთა მიხედვით შეიქმნა დაუსაბუთებლად მაღალი რენტაბელობა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში შეუფარდონ ფასები და ტარიფები ანალოგიური სახეობის პროდუქციისა და მომსახურების ფასებსა და ტარიფებს და გააძლიერონ ფასებისა და ტარიფების ზეგავლენა პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე, ტექნიკური პროგრესის სტიმულირებაზე. პროდუქციის წარმოების გადიდებასა და მომსახურების სფეროს გაფართოებაზე;

ბ) მიიღოს დადგენილი წესით საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან, აგრეთვე საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებული წესით —ასსრ სტატისტიკური სამმართველოებისაგან, სამინისტროებისა და უწყებებისაგან და საჭიროების შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთხვევებში უშუალოდ საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან ფასებისა და ტარიფების შესამუშავებლად და დასაწესებლად საჭირო საანგარიშო მონაცემები, კონტროლი გაუწიოს მათი დაწესებისა და გამოყენების სისწორეს, პროდუქციის თვითღირებულებისა და წარმოების რენტაბელობის დონეს;

გ) მოისმინოს კომიტეტის სხდომებზე რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მოხსენებანი ფასწარმოქმნისა და სამინისტროს, უწყების სისტემაში ფასებისა და ტარიფების დაცვის საკითხებზე;

დ) შეამოწმოს, თუ რამდენად სწორად აწესებენ და იყენებენ ფასებსა და ტარიფებს საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარეობენ, მათი დაქვემდებარების მიუხედავად;

ე) გააუქმოს ფასები და ტარიფები, რომელთა დამტკიცების დროს რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დაარღვიეს ფასწარმოქმნის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები;

ვ) მიიღოს გადაწყვეტილებანი, რათა ჩამოერთვას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებსა და ორგანიზაციებს და გადაირიცხოს შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავალში (საწარმოს, ორგანიზაციის დაქვემდებარების მიხედვით) მთელი თანხა დამატებითი ამონაგებისა, რაც მიღებულია ფასებისა და ტარიფების დამტკიცების ან გამოყენების მოქმედი წესის დარღვევის შედეგად;

ზ) დაავალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ ფასების, ტარიფების, ფასნამატისა და ფასდაკლების პრეისკურანტების პროექტები, მათი დაწესებისა და გამოყენების მეთოდური მითითებებისა და ნორმატივების პროექტები, აგრეთვე მიიღოს სამინისტროებისა და უწყებებისაგან ან მათთან შეთანხმებით — საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან ფასების წარდგენილი პროექტების დასასაბუთებლად საჭირო მასალები და დასკვნები ფასების პრეისკურანტების, ტარიფების, ფასნამატისა და ფასდაკლების პროექტების, მეთოდური მითითებებისა და ნორმატივების პროექტების გამო;

თ) განიხილოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შორის იმ პროდუქციის ფასებისა და ტარიფების დაწესების საკითხებზე წამოჭრილი უთანხმოებანი, რომლის ფასებს ამტკიცებენ რესპუბლიკური ორგანოები, და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება;

ი) გამოიყენოს სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მეცნიერი მუშაკები და სპეციალისტები ფასწარმოქმნის ცალკეული საკითხების დასამუშავებლად, აგრეთვე ფასების, ტარიფების, ფასნამატისა და ფასდაკლების პროექტების გამო კონსულტაციისა და ექსპერტიზისათვის, და მონაწილეობა მიაღებინოს მათ ცალკეულ შემთხვევებში ამ ფასების დაწესებისა და გამოყენების სისწორის შემოწმებაში;

კ) მიანდოს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ფასების განყოფილებებს იმის შემოწმება, თუ რამდენად სწორად აწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებენ და იყენებენ ფასებს, ტარიფებს, ფასნამატსა და ფასდაკლებას მოცემული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოები და ორგანიზაციები;

ლ) აძლიოს სამინისტროებს, უწყებებს, სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს განმარტება იმ კანონმდებლობის შესახებ, რაც მოქმედებს ფასებისა და ტარიფების დაწესებისა და გამოყენების დარგში, რომლებსაც რესპუბლიკური ორგანოები ამტკიცებენ;

მ) მიანდოს მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ფასების განყოფილებებს.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ფასების განყოფილებები წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანაში ფასწარმოქმნის ორგანოების ერთიანი სისტემის შემადგენელ ნაწილს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს.

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ფასების განყოფილებები ემორჩილებიან ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამის მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებებით. აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს კანონმდებლობის სწორად შეფასებას ფასწარმოქმნის ორგანოების სისტემაში და კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ შეიტანს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, აგრეთვე ფასების სახელმწიფო კომიტეტის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

კომიტეტის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს რესპუბლიკაში ფასების სრულყოფის, ფასებისა და ტარიფების დაწესებისა და გამოყენების, ფასების სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების ძირითად საკითხებს, განიხილავს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ფასების განყოფილებების მუშაობის პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, შრომის ორგანიზაციისა და მექანიზაციის სრულყოფის, კადრების განაწილებისა და აღზრდის ძირითად საკითხებს, ფასების პრეისკურანტების, მეთოდური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების პროექტებს, მოისმენს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ფასების განყოფილებათა გამგეების და კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკების მოხსენებებს, ფასებისა და ტარიფების შემუშავების, ფასებისა და ტარიფების დაწესებისა და გამოყენების სისწორისადმი კონტროლის მდგომარეობის საკითხებზე, აგრეთვე მის კომპეტენციაში შემავალ სხვა უმნიშვნელოვან საკითხებზე.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტი თავის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს დადგენილებებს ფასებისა და ტარიფების, მეთოდური მითითებებისა და ფასების სხვა ნორმატიული დოკუმენტების დამტკიცების შესახებ, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ფასების განყოფილებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი გამოსცემს ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და გასცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად ფასწარმოქმნის ორგანოებისა და კომიტეტისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ.

10. ფასწარმოქმნის მეთოდიკის სრულყოფის ცალკეული საკითხების, აგრეთვე პროდუქციის ცალკეულ სახეობათა ფასების პრეისკურანტების განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნება სამეცნიერო-მეთოდური საბჭო, რომელშიაც შევლენ ფასწარმოქმნის დარგის ცნობილი მეცნიერები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე სათავეში უდგას კომიტეტს და პერსონალურად პასუხისმგებელია იმ ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, რაც კომიტეტს ეკისრება, იგი დააწესებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების, წევრების, კომიტეტის განყოფილებებისა და სხვა ქვედანაყოფების უფროსების პასუხისმგებლობას კომიტეტის საქმიანობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს, კომიტეტის ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებს, დაამტკიცებს კომიტეტის განყოფილებებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს დაამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული შტატის რაოდენობისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

## 75 მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

„მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 5 მარტის № 157 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გაითვალისწინონ კაპიტალურ დაბანდებათა 1971-1975 წლების გეგმებში მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების შენობათა მშენებლობა მათთვის გამოყოფილ ცენტრალიზებულ და არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების ფარგლებში.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინონ 1972-1975 წლების წლიური გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტების პროექტებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების შენობათა კეთილმოწყობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ასიგნებათა გამოყოფა, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების

პროექტებში — საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მოთხოვნილება ავტოტრანსპორტზე, ორგტექნიკის საგნებზე, მოწყობილობაზე, ავეჯსა და ინვენტარზე.

2. იმ მიზნით, რომ განმტკიცდეს რაიონული და საქალაქო ბიუჯეტების შემოსავლის ნაწილი, გაფართოვდეს დაფინანსების წყაროები და გადიდდეს სახსრები, რომლებიც ხმარდება ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, დატოვებულ იქნეს, 1972 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების განკარგულებაში:

— მთელი შემოსავალი, რომელსაც დამატებით იღებენ ბიუჯეტის შესრულებისას, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხები, რაც წლის დამლევისათვის იქმნება შემოსავლის გეგმის გადაჭარბებით შესრულების ან ხარჯების დაზოგვის გზით, გარდა ასიგნებებისა, რომლებიც გამოუყენებელი რჩება ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელის განვითარების გეგმების შეუსრულებლობის გამო.

— მათი საქვეუწყებო ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მოგების იმ ანარიცხების 25 პროცენტი, რომლებიც ხმარდება მისი განვითარების ფონდს, მას შემდეგ, რაც აღნიშნულ ანარიცხებს გამოაკლდება წარმოების განვითარების ფონდის სახსრები, აგრეთვე მათი საქვეუწყებო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა იმ მოგების ანარიცხების 25 პროცენტი, რაც მიიღება არასაყოფაცხოვრებო ხასიათის სამუშაოთა შესრულებით და მომსახურების გაწევით და საწარმოთა განკარგულებაში რჩება მოცემულ რაიონში, ქალაქში საწარმოთა მშენებლობისა და გაფართოებისათვის გამოსაყენებლად, აგრეთვე მათთვის მოწყობილობის შესაძენად და საბრუნავი სახსრების შესავსებად.

— რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა (გეგმიან-საზარალოს გარდა) მოგების ნაწილი, მაგრამ არანაკლებ რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩასარიცხი გეგმიანი მოგების 10 პროცენტისა.

ზეგეგმითი მოგების მიღების შემთხვევაში შესაბამის რაიონულ და საქალაქო ბიუჯეტებს დარჩეს რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩასარიცხი თანხის არანაკლებ 10 პროცენტისა.

ფინანსთა სამინისტრომ განსაზღვროს რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტებში ამ თანხების ჩარიცხვის წესი და ვადები.

— რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებში გეგმის გადამეტებით დამზადებული სახალხო მოხმარების საქონლის ბრუნვის გადასახადის ნაწილი, აგრეთვე ნაწილი ბრუნვის გადასახადისა, რომელიც რესპუბლიკის ბიუჯეტში გადაირიცხება იმ საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის შედეგად, რომელიც დამატებით დავალებათა შესაბამისად წარმოებულია ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი ნედლეულისა და მასალებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების განკარგულებაში დასატოვებელი თანხების ოდენობა განისაზღვრება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

№ 4 ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მიღებულ იქნეს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების წინადადება იმის შესახებ, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების გამგებლობაში დამატებით გადაეცეს საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც უპირატესად ემსახურებიან მოცემული რაიონის, ქალაქის მოსახლეობას და ამჟამად იმყოფებიან რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში, თანახმად დანართისა.

გადაცემა მოხდეს 1972 წლის 1 იანვრიდან.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გამგებლობიდან თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამგებლობაში მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნების გადაცემასთან დაკავშირებით საჭიროდ იქნეს მიჩნეული შეიქმნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო.

დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით განიხილონ და გადაწყვიტონ აღნიშნული სამმართველოს შესანახი სახსრების საკითხი.

4. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შეიმუშაოს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად წინადადებანი, რათა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის და მომსახურების თვითღირებულების შემცირების გზით შემდგომ განვითარდეს რაიონული და საქალაქო დაქვემდებარების საწარმოები.

5. უფლება მიენიჭოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

— დაამტკიცოს საპროექტო-საძიებო სამუშაოთა და საბინაო-კომუნალური, სოციალურ-კულტურული, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სატიტულო სიები 1,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით, ხოლო გარდამავალი მშენებლობებისა — 2 მილიონ მანეთამდე.

— მოაწყოს 1,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტების მშენებლობის პროექტების ექსპერტიზა.

6. დაწესდეს, რომ:

— მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების და მათი განყოფილებების (სამმართველოების) სტრუქტურას და შტატებს ამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები, რესპუბლიკაში შემოღებული ნორმატივებისა და მოცემული აღმასკომისათვის დადგენილი ადმინისტრაციულ-მმართველობის პერსონალის რიცხოვნობის საფუძველზე. შტატები განისაზღვრება ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომელიც იანგარიშება თანამდებობრივი სარგოების სქემის საშუალო განაკვეთების მიხედვით და ამ სქემის დაცვით.

— მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების შტატებს ამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები დადგენილი ტიპობრივი შტატების საფუძველზე.

7. დაევალოთ სამინისტროებს, რომელთაც შესაბამისი სამმართველოები და განყოფილებანი აქვთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებში, სამი თვის ვადაში შეიმუშაონ ამ ქვედანაყოფთა დებულებების პროექტები, შეუთანხმონ ისინი იუსტიციის სამინისტროს და დასამტკიცებლად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. ეცნობოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1971 წლის 5 მარტის № 157 დადგენილებით მათ უფლება მიანიჭა:

ა) გადაწყვიტონ საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის თანხმობით (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) იმ სახსრების ერთობლივი გამოყენების საკითხები, რომლებიც უნდა მოხმარდეს საბინაო, კომუნალურ, საგზაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობას;

ბ) საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის დადგენილი ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში მისცენ პრემიები საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკებს უმნიშვნელოვანეს დავალებათა შესრულებისათვის შრომის ანაზღაურებისა და საპრემიო სისტემის მოქმედი დებულებებით გათვალისწინებული პრემიების გარდა, აგრეთვე ხელფასის საერთო ფონდის 0,05 პროცენტამდე მოახმარონ მუშაკებისათვის ერთდროული დახმარების გაწევას.

ასეთ შემთხვევებში აღნიშნული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელფასის ფონდის 0,05 პროცენტი ზემდგომი ორგანიზაციების განკარგულებაში დაჯილდოებისა და ერთდროული დახმარების გაწევისათვის არ გადაირიცხება;

გ) მოახმარონ სახელმწიფო მართვის რაიონული და საქალაქო ორგანოების, აგრეთვე სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების იმ მუშაკთა დაჯილდოებას, რომლებისთვისაც არ არის დაწესებული საპრემიო სისტემა მათ მიერ უმნიშვნელოვანეს დავალებათა შესრულებისათვის, და მათთვის ერთდროული დახმარების გაწევას — ხელფასის ფონდის 2 პროცენტამდე. აღნიშნული ხარჯები გაწეული იქნეს სახელმწიფო მართვის შესაბამისი ორგანოებისათვის დაწესებული ხელფასის ფონდის ფარგლებში;

დ) განახორციელონ ცალკეული ფასდებებით (უხარჯთაღრიცხვოდ) ადგილობრივი დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის დაფინანსება, რომელთა ღირებულება 10 ათას მანეთს არ აღემატება, აგრეთვე სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა დაფინანსება, ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიუხედავად, სტიქიური უბედურების დღიდან ერთი წლის განმავლობაში;

ე) გადაწყვიტონ საკითხები იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებს უსასყიდლოდ გადაეცეს კონფისკაციაქმნილი, უპატრონო და სახელმწიფო კუთვნილებაში მემკვიდრეობის უფლებით გადასული საცხოვრებელი სახლები საეზოვე ნაგებობებით, რომლებიც განლაგებულია სასოფლო ადგილებში, აგრეთვე საცხოვრებელი სახლებისაგან ცალკე არსებული სასოფლო-სამეურნეო შენობები;

— დაამტკიცონ რაიკოოპკავშირის წარდგენით სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა საცალო საქონელბრუნვის გეგმები მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მიხედვით;

ვ) შეიძინონ საცალო ვაჭრობის ქსელში:

უნაღდო ანგარიშსწორებით წვრილი ბითუმის ლიმიტში ჩაუთვლელად სამრეწველო საქონელი, რომლის მიყიდვა ნებადართულია საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, აგრეთვე საშენი მასალები და ინვენტარი საბჭოების შენობების შესაკეთებლად;

ნაღდ ანგარიშზე სამრეწველო საქონელი და მასალები, რომელთა ერთჯერადი ღირებულება არ აღემატება 10 მანეთს;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ, თავმჯდომარის მოადგილედ და მდივნად მუშაობა ჩაითვლება იმ სპეციალობით შრომის სტაჟში, რომლითაც აღნიშნული პირნი მუშაობნენ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოში არჩევამდე.

9. „საქართველოს სსრ მინისტრებისა და უწყებათა ხელმძღვანელების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაცემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივლისის № 410 დადგენილების და „საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების დამატებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 29 დეკემბრის № 765 დადგენილების დამატებით გადაეცეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდეგი საკითხები:

ა) დაამტკიცონ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების საქვეუწყებო მშენებლობათა და ობიექტების პროექტები და სატიტულო სიები, თუ ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატება 150 ათას მანეთს (ქ. თბილისის გარდა);

ბ) მოახმარონ კინოთეატრების ზეგეგმითი დაგროვებანი ამ კინოთეატრების შენობების კაპიტალურ რემონტს და მათთვის ინვენტარ-მოწყობილობის შეძენას დირექტორის ფონდის დარიცხვისა და პრემიების გაცემის შემდეგ;

გ) ნება დართონ საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შეიძინონ ნაგებობანი, რომლებიც ეკუთვნის კოლმეურნეობებს, კოოპერაციულ ორგანიზაციებს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — კერძო მობინადრეებს, იმ ფასად, რომელიც არ აღემატება სადაზღვევო შეფასებას, კაპიტალური დაბანდებისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ხარჯზე;

დ) საჭიროების შემთხვევებში, გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხების ხარჯზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოახმარონ სახსრები სტიქიური უბედურებით დაზარალებული ცალკეული მოქალაქეებისათვის ერთდროული ფულადი დახმარების გაწევას, ერთ ოჯახზე 100 მანეთამდე და სკოლების დროებით გაჭირვებული მოსწავლეებისათვის მატერიალური დახმარების გაწევას.

10. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ერთად შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამა წლის 1 დეკემბრისათვის დასამტკიცებლად წარმოუდგინონ იმ ნორმატივების პროექტი, რომლებიც განსაზღვრავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების და მათი განყოფილებების (სამმართველოების) სტრუქტურას და შტატებს, რესპუბლიკური ბიუჯეტით დადგენილი სახელმწიფო მართვის ორგანოების შესანახი ზღვრული ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 30 აგვისტო № 477

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთ
1971 წლის 30 აგვისტოს
დადგენილების დანართ

# ნ უ ს ხ ა

## იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომელთაც საქართველოს სსრ ს ტროები და უწყებები გადასცემენ მშრომელთა დეპუტატების საქალა; რაიონული საბჭოების აღმასკომებს

| გადასაცემ საწარმოთა და ორგანიზაციათა დასახელება | ვის გადაეცემა |
|---|---|
| **ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო** | |
| 1. ქარხანა „თბილსოფლმანქანა“ | თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომ |
| 2. თბილისის რეზინის ნაწარმის ქარხანა | " |
| 3. თბილისის პლასტმასის ნაწარმის ქარხანა | " |
| 4. თბილისის საგალანტერეო ფაბრიკა | " |
| 5. თბილისის № 2 მექანიკური ქარხანა | " |
| 6. თბილისის საწარმოო გაერთიანება „სიხარული“ | " |
| 7. თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკა | " |
| 8. თბილისის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა | " |
| 9. თბილისის საფეიქრო-სატრიკოტაჟო ფაბრიკა | " |
| 10. გორის მექანიკური ქარხანა | გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომს |
| 11. თეთრწყაროს მექანიკური ქარხანა | თეთრწყაროს რაისაბჭოს აღმასკომს |
| 12. საშენ მასალათა კომბინატები: | |
| ლანჩხუთის | ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომს |
| ტევრის | ხესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომს |
| ქსნის | ძცხეთის რაისაბჭოს აღმასკომს |
| 13. კაჭრეთის სამკერვალო ფაბრიკა | ყურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომს |
| 14. გარდაბნის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა | გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომს |
| **კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი** | |
| კინოქსელი | მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რა ონული საბჭოების აღმასკომებს |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ႨႬႣႤႵႱႨ—76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4 1971 года

ႢႠႫႭႫႺႤႫႤႪႨ: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/II-1972 წ. ქაღალდის ფორმატი 70 × 108¹/₁₆,
საბეჭდი თაბახი 6,5, სააღრიცხვო თაბახი 6,5

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

შეკვ. 904 ტირაჟი 2000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.